პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

სამშაბათი, 28 სექტემბერი, 1948 წ. № 193 (8237). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ვემზადოთ ლენინურ-სტალინური კომკავშირის 30-ე წლისთავისათვის—მოწინავე (1-ლი გვერდი).
წლიური გეგმა—7 ნოემბრისათვის! (1-ლი გვერდი).
პატაკები ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი ლატვიის, ესტონეთის სს რესპუბლიკების, მოსკოვისა და ვლადიმირის ოლქების მიერ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).
კომკავშირის 30-ე წლისთავის შესახვედრად (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირი—მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების სადარაჯოზე—სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გენერალური ასამბლეის 1948 წლის 25 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე (მე-2 გვერდი).
საკდესის ცნობა (მე-3 გვერდი).
ბ. ჟღენტი — ალექსანდრე ყაზბეგი (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ვემზადოთ ლენინურ-სტალინური კომკავშირის 30-ე წლისთავისათვის

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა გაცხოველებით ემზადება ღირსშესანიშნავი თარიღის — ლენინურ-სტალინური კომკავშირის 30-ე წლისთავისათვის, რაც 29 ოქტომბერს სრულდება.

განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე ლენინურ-სტალინურმა კომკავშირმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ბრძოლაში. კომკავშირი განუხრელად ასრულებდა და ასრულებს თავისი ხელმძღვანელის — ბოლშევიკური პარტიის მითითებებს: ზრდის საბჭოთა ახალგაზრდობას ლენინ-სტალინის საქმისათვის უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, რაზმავს მას ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული სამეურნეო, კულტურული და პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად. ჩვენი ქვეყნის მშრომელები არასოდეს არ დაივიწყებენ იმ თავდადებას, რომელიც გამოიჩინეს კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ უცხოეთის ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად. ჩვენი ქვეყნის მშრომელები არ დაივიწყებენ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის გმირულ შრომას ომამდელი სტალინური ხუთწლედების მანძილზე სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. საყოველთაო აღიარება და პატივისცემა დაიმსახურეს კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ დიდი სამამულო ომის დღეებში, როცა ისინი თავგანწირულად იბრძოდნენ ჩვენს ქვეყანაში ყაჩაღურად შემოჭრილ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ფაშისტური მონობისაგან მსოფლიოს გადასარჩენად.

ლენინურ-სტალინური კომკავშირის იუბილესათვის მზადება მიმდინარეობს, როცა სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლისათვის გაჩაღებული გიგანტური შრომის საერთო ფერხულში ჩაბმული ახალგაზრდობა ძალების დაუზოგავად იბრძვის დიდი სტალინის ისტორიულ მითითებათა შესასრულებლად. ათასობით ახალგაზრდამ უკვე შეასრულა თავისი ხუთწლიანი გეგმა და იძლევა პროდუქციას შემდგომი წლების ანგარიშში. ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში მრავლად არიან საქართველოს ახალგაზრდები. მათ კომკავშირის 30-ე წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა. თბილისის მოწინავე საწარმოს — კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ახალგაზრდობის მოწოდებას—კომკავშირის 30-ე წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ საქართველოს ახალგაზრდობამ ახალი საწარმოო აღმავლობით უპასუხა. უფრო ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება გეგმის გადამეტებით პროდუქციის გამოსაშვებად, მეტი ლითონის, ქვანახშირის, მარგანეცისა და ქსოვილისათვის. ფართოდ გაიშალა შეჯიბრება საკოლმეურნეო სოფლის ახალგაზრდობაში — სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები იბრძვიან იმისათვის, რომ სოციალისტურმა შეჯიბრებამ მოიცვას ახალგაზრდობის უფართოესი მასები და შეჯიბრების მონაწილე ყოველმა ახალგაზრდამ ნაკისრი ვალდებულება განუხრელად შეასრულოს.

ამოცანა ის არის, რომ სულ უფრო და უფრო გაძლიერდეს ახალგაზრდობის ეს საწარმოო აღმავლობა, უფრო აქტიური გახდეს მისი მონაწილეობა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში, განუწყვეტლივ მაღლდებოდეს ახალგაზრდობის საწარმოო კვალიფიკაცია, ტექნიკური და კულტურული დონე.

კომკავშირის 30-ე წლისთავისათვის მზადება, როგორც ეს მითითებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, უნდა მიმდინარეობდეს კომკავშირული ორგანიზაციების შემდგომი ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცების ნიშნით. საჭიროა ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ ამაღლდეს კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, რათა ყოველი ორგანიზაცია ნამდვილად წარმოადგენდეს ახალგაზრდობის მებრძოლ კოლექტივს, პირნათლად ასრულებდეს პარტიის საიმედო თანაშემწის როლს — რაზმავდეს ახალგაზრდობას სამშობლოს კეთილდღეობისათვის, პარტიისა და მთავრობის მითითებათა განუხრელად შესრულებისათვის.

ლენინურ-სტალინური კომკავშირის იუბილესათვის მზადებამ უნდა მოგვცეს კომკავშირულ ორგანიზაციებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და მთელი პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესება, საბჭოთა პატრიოტიზმის იდეებით, ყოვლისძლე მარქსისტულ-ლენინური თეორიით, საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით ახალგაზრდობის შესაიარაღებლად მუშაობის გაძლიერება. ჩავუნერგოთ ჩვენს ახალგაზრდობას საკუთარი, მშობლიური კულტურის, საბჭოთა ტექნიკისა და მეცნიერების სიამაყის გრძნობა, კიდევ უფრო გავაძლიეროთ ბრძოლა უცხოური კულტურის წინაშე ქედის მოხრის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, — აი რა არის საჭირო.

იუბილესათვის მზადების დღეებში უნდა მივაღწიოთ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რათა თვითეული კომკავშირული ორგანიზაცია სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდეს, რათა ახალგაზრდობაში მისი გავლენა და ავტორიტეტი მაღალი იყოს, რათა მან ნამდვილად შესძლოს ახალგაზრდობის ორგანიზატორის როლის შესრულება.

კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცება, ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება, ახალგაზრდობის საწარმოო აქტივობის შემდგომი ამაღლება დამოკიდებულია კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ხარისხზე. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა კომკავშირისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერებით მიაღწიონ ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში კომკავშირის როლის შემდგომ გაძლიერებას და ახალგაზრდობის უფართოესი მასების აქტიურ მონაწილეობას ამხანაგ სტალინის მითითებათა განხორციელებისათვის გაჩაღებულ შემოქმედებითს შრომაში.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოცე ტომი

დაიბეჭდა და ხელისმომწერთ ეგზავნება ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის მეოცე ტომი.

მეოცე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია 1913 წლის დეკემბრიდან 1914 წლის აგვისტომდე. გამონაკლისს წარმოადგენს სტატია „კრიტიკული შენიშვნები ეროვნულ საკითხზე“, რომელიც დაწერილია ცოტა უფრო ადრე და ნაწილნაწილ დაიბეჭდა 1913 წლის ოქტომბერ-დეკემბერში.

ტომის მეტ ნაწილს შეადგენენ ნაშრომები, რომლებიც მიძღვნილია რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის — ლიკვიდატორების, ტროცკისტების, „ვპერიოდელების“, ესერებისა და II ინტერნაციონალის ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბოლშევიკების ბრძოლისადმი. ამ ნაშრომებს ეკუთვნის: „აგვისტოს ბლოკის“ დაშლა“, „ერთიანობის დარღვევა, რასაც ერთიანობაზე ყვირილით ფარავენ“, „ხალხოსნობა და ლიკვიდატორობა როგორც მუშათა მოძრაობის დაშლის ელემენტები“, „იდეური ბრძოლა მუშათა მოძრაობაში“, „ვპერიოდელთა“ და „ვპერიოდის“ ჯგუფის შესახებ“, „რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენება და საინსტრუქციო მითითებანი ცენტრალური კომიტეტის დელეგაციისადმი ბრიუსელის თათბირზე“, „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია“, „კაუტსკის წერილის შესახებ“ და სხვები.

ეროვნულ საკითხში ბოლშევიკური პროგრამის დასაბუთებისა და განვითარებისადმი მიძღვნილია ნაწარმოებები: „კრიტიკული შენიშვნები ეროვნულ საკითხზე“ და „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“.

ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სტატიებს აგრარულ საკითხზე. მათ შორის არის „გლეხობა და დაქირავებული შრომა“, „ბატონყმური მეურნეობა სოფლად“, „მიწის საკითხი რუსეთში“.

ამ ტომში იბეჭდება სტატიები, რომლებიც პირველად არის შეტანილი ვ. ი. ლენინის თხზულებებში: „ლატვიელი მარქსისტების გადაწყვეტილებანი და ლიკვიდატორები“ და „პასუხი ლაიპციგერ ფოლკსცაიტუნგის“ სტატიაზე“. ამ სტატიებში ლენინი ამჟღავნებს, რომ ლიკვიდატორებმა დაამახინჯეს პარტიული გადაწყვეტილებანი, დამალეს ობიექტური ცნობები მარქსისტული და ლიკვიდატორული გაზეთებისათვის ფულის შეკრების შესახებ. თხზულებებში პირველად არის შეტანილი აგრეთვე ნაშრომები: „ერთა თანასწორობისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის კანონის პროექტი“ და სტატია „პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული ოპოზიცია გზაჯვარედინზე“, რომლებიც წინათ გამოქვეყნებული იყო ლენინის XXX კრებულში.

„საინსტრუქციო მითითებანი“ ცენტრალური კომიტეტის დელეგაციისადმი ბრიუსელის თათბირზე შევსებულია ვ. ი. ლენინის ახალი წერილით.

თხზულებათა წინა გამოცემებში პროექტი სიტყვისა „მიწათმოქმედების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის საკითხისათვის“ იბეჭდებოდა ხელნაწერის მიხედვით, რომლის ოთხი გვერდი დაკარგული იყო. მე-4 გამოცემაში სიტყვის პროექტი შევსებულია 1941 წელს ნაპოვნი ამ გვერდებით, რომლებიც წინათ აღმოჩენილი არ იყო.

წლიური გეგმა — 7 ნოემბრისათვის!

ახალი აღმავლობა დაიწყო

ფოთი. (საქ. კორ.). საოქტომბრო შეჯიბრების დღეებში ფოთის საწარმოებში კიდევ უფრო გაძლიერდა ბრძოლა გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. რკინიგზის კვანძის მოძრაობის დარგმა ვაგონების დატვირთვის აგვისტოს დავალება 147,6 პროცენტით შეასრულა, ხოლო გადმოტვირთვისა — 100 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა სექტემბრის ორი დეკადის დავალებაც. უკანასკნელ პერიოდში დაწინაურდა გ. ცანავას კომკავშირული ცვლა, რომელმაც ტვირთბრუნვის სექტემბრის გეგმა 15 დღეში შეასრულა.

სამრეწველო კომბინატის საწარმოთა შორის დაწინაურდა სავეჯო-სახერხი ქარხანა, რომელმაც უკვე შეასრულა ხე-ტყის დამზადების წლიური გეგმა, 5 პროცენტით შეამცირა თვითღირებულება და საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება. ახლა ქარხნის კოლექტივი იბრძვის მოსკოვის 35 საწარმოს მუშაკთა მიმართვის პასუხად ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად — სახელმწიფოსათვის 10 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვების მისაცემად.

საწარმოო დავალებათა შესრულებაში დიდ წარმატებებს მიაღწია საზღვაო ნავსადგურის მეორე საწარმოო რაიონმა. ტვირთბრუნვის წლიური გეგმა აქ სექტემბრის პირველ დღეებში შეასრულეს. მიღებული გემებისა და ვაგონების 65 პროცენტი ვადამდე გადაამუშავეს და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცეს 3 მილიონზე მეტი მანეთი დაგროვება.

ამ საწარმოო რაიონის კოლექტივმა იკისრა: წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გადაამუშაოს ღიდძალი ტვირთი, აღმოფხვრას გემებისა და ვაგონების უმიზეზო მოცდენა, 20 პროცენტით შეამციროს თვითღირებულება, გაზარდოს შრომის ნაყოფიერება და წლის ბოლომდე სახელმწიფოს მისცეს 1.900 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

მიიღეს 1.700 ათასი მანეთი დაგროვება

ბორჯომი. (საქ. კორ.). მაღალნაყოფიერი მუშაობის შედეგად ბორჯომის შუშის ქარხნის კოლექტივმა პირველი სექტემბრისათვის 103,4 პროცენტით შეასრულა წლიური დავალება. ქარხანამ 8 თვეში წლიური გეგმის გადამეტებით დაამზადა 177 ათასი ბოთლი და 158 ათასი ცალი კავშირგაბმულობის იზოლატორი, დაზოგა 620 ტონა საწვავი, მინიმუმამდე დაიყვანა წუნი და სახელმწიფოს მისცა 1.700.000 მანეთი დაგროვება.

განსაკუთრებით დაწინაურდა სტახანოველ ა. შუბითიძის ბრიგადა, რომელმაც წლიური დავალება 120 პროცენტით გადაჭარბებით. დავალების შესრულებაში თავი გამოიჩინა აგრეთვე ვლ. არონიშიძის ბრიგადამ, რომელმაც გეგმის გადამეტებით 24.000 ბოთლი დაამზადა.

ტყვარჩელელ ენერგეტიკოსთა მიღწევები

ტყვარჩელის ლ. პ. ბერიას სახელობის თბოელექტროსადგურის ენერგეტიკოსებმა ელექტროენერგიის გამომუშავების 9 თვის გეგმა ჯერ კიდევ აგვისტოში შეასრულეს. წარმატებით მუშაობს თბოელექტროსადგური სექტემბერშიც.

გასულ წელთან შედარებით ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა 28,7 პროცენტით, გაწეულია საწვავის საგრძნობი ეკონომია. ელექტროენერგიის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 565 ათასი მანეთი დაგროვება.

3.600 ფუთი შაქარი

ქარელი. (ტელეფონით). აგარის ბერიას სახელობის შაქრის ქარხნის კოლექტივმა ახალი მოსავლის ჭარხლის გადამუშავება 25 სექტემბერს დაიწყო და დღე-ღამეში გადაამუშავა 5.500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, რომლისაგან მიღებულია 3.600 ფუთი მაღალხარისხოვანი შაქარი.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ლატვიის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულმა ამხანაგობებმა და გლეხურმა მეურნეობებმა თავიანთი ვალდებულება სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით 500 ათასი ფუთი პურის ჩაბარების შესახებ გადაჭარბებით შეასრულეს. 1948 წლის 22 სექტემბრისათვის გეგმის გადამეტებით ჩაბარებულია 616 ათასი ფუთი პური, გეგმის გადამეტებითი ჩაბარება გრძელდება.

ლატვიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. კალნბერზინი**

ლატვიის სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ლაცისი**

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ლატვიის სს რესპუბლიკაში **ი. ბარიაევი**

ლატვიის სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **ვ. ბრუმსლისი**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკური კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. კალნინი**

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ესტონეთის სსრ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულმა ამხანაგობებმა და გლეხურმა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 1.240 ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე 1947 წელს ამავე თარიღისათვის.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულმა ამხანაგობებმა და გლეხურმა მეურნეობებმა იკისრეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სულ ცოტა 500 ათასი ფუთი პური.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ამ ვალდებულებასაც პირნათლად შევასრულებთ.

ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნ. კაროტამი**

ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ვეიმერი**

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ესტონეთის სს რესპუბლიკაში **მ. რიდმანი**

ესტონეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **ნ. პუსეპი**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის თავმჯდომარე **ი. პიარნი**

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულება სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით 300 ათასი ფუთი პურის ჩაბარების შესახებ. 1948 წლის 21 სექტემბრისათვის გეგმის გადამეტებით ჩაბარებულია 450 ათასი ფუთი პური. გეგმის გადამეტებით ჩაბარება გრძელდება.

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი **გ. პოპოვი**

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **პ. ბურილიჩევი**

სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული მოსკოვის ოლქში **ი. აბრამოვი**

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი **ფ. გოლუბნიჩი**

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ვლადიმირის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 1.300 ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. სასურსათო კულტურები გეგმის გადაჭარბებით ჩაბარებულია 120 ათასი ფუთი.

ვლადიმირის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს კალინინის ოლქის გამოწვევა და იკისრეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სულ ცოტა 180 ათასი ფუთი პური.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ამ ვალდებულებასაც პირნათლად შევასრულებთ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ვლადიმირის საოლქო კომიტეტის მდივანი **ალფეროვი**

ვლადიმირის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბრანტი**

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ვლადიმირის ოლქში **ნოზტევი**

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი **ტკაჩოვი**

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით აიღონ 25 მილიონი ზონარმეტრი თამბაქო

აფხაზეთის მეთამბაქოობის კოლმეურნეობებმა ვადამდე, მიმდინარე წლის 25 სექტემბრისათვის 101,8 პროცენტით შეასრულეს თამბაქოს აღების წლიური გეგმა.

დეპეშაში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **მგელაძე** და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **დელბა** იუწყებიან, რომ აფხაზეთის მეთამბაქოობის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით აიღონ 25 მილიონი ზონარმეტრი თამბაქო, აქედან გულრიფშის რაიონში—7 მილიონი ზონარმეტრი, გაგრის რაიონში—5 მილიონი, სოხუმის რაიონში—4,5 მილიონი, ოჩამჩირის რაიონში—4 მილიონი, გუდაუთის რაიონში—3 მილიონი და გალის რაიონში—1.5 მილიონი ზონარმეტრი.

ნატანებლები 220 ტონა ჩაის ფოთოლს მისცემენ სამშობლოს გეგმის გადამეტებით

მახარაძე. (საქ. კორ.). სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის 1948 წლის გეგმა 100,4 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 1.120.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის ნაცვლად მოკრეფილია 1.124.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. მოკრეფილი ფოთლის 92 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ნატანებელი კოლმეურნეები ახალ ვალდებულებას ასრულებენ — მოკრიფონ და ჩაის ფაბრიკებს ჩააბარონ წლიური გეგმის გადამეტებით 220 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

კომკავშირის 30-ე წლისთავის შესახვედრად

სამზადისი ფართოდ არის გაჩაღებული

ქუთაისი. (საქ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ამ დღეებში სპეციალურად განიხილა კომკავშირის 30-ე წლისთავისათვის მზადების საკითხი და კონკრეტული ღონისძიებანი დასახა ამ თარიღის ღირსეულად აღნიშვნისათვის. საქალაქო კომისიამ, რომელიც იუბილეს ჩასატარებლად შეიქმნა, ფართოდ გაშალა მოსამზადებელი მუშაობა. შესდგა კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების მდივნებისა და მოადგილეების თათბირი.

საავტომობილო ქარხნის მოქმედ საამქროებში დაიწყო საუბრების ჩატარება კომკავშირის სახელოვანი წლისთავის შესახებ. ახალგაზრდობის საერთო საცხოვრებელში წითელი კუთხე ივსება ახალ-ახალი მასალებით კომკავშირის შესახებ. შინაარსიანად ასახავენ კომკავშირის საბრძოლო გზას მრავალგანყოფილებიანი გამოფენები, რომლებიც სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკასა და პიონერთა სახლში მოეწყო.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა გაითვალისწინა ოქტომბრის პირველ დღეებში მოაწყოს ნ. ოსტროვსკის ცნობილ რომან „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ განხილვა.

დეპოელთა თაოსნობა

სამტრედია. (საქ. კორ.). 50 კომკავშირელს 2 წლისა და 8 თვეში 5 წლის ნორმა, ხოლო 105-ს — 3-4 წლის ნორმა აქვს შესრულებული სამტრედიის საორთქლმავლო დეპოში.

დეპოს კომკავშირელები და ახალგაზრდობა თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მიმართვის პასუხად ჩაებნენ ლენინურ-სტალინური კომკავშირის 30-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრეს თავიანთი ძალებით 29 ოქტომბრისათვის საგარეცხვო შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვან 3 ორთქლმავალი, აწევითი შეკეთებიდან—1 ორთქლმავალი, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 5 პროცენტით, ახალგაზრდა მუშების შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 2 პროცენტით, დაზოგონ 30 ტონა საწვავი, გეგმის გადამეტებით შეაგროვონ 5 ტონა ლითონის ჯართი და სხვ. დეპოს კომკავშირელებმა გადასწყვიტეს აგრეთვე ტექნიკური წრეების საშუალებით 11 ახალგაზრდას აუმაღლონ კვალიფიკაცია, მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის 27 მოსწავლეს ყოველგვარი პირობები შეუქმნან ნორმალური სწავლისათვის და სკოლაში დამატებით მოაწყონ 10 ახალგაზრდა მუშა.

კომკავშირის 30-ე წლისთავის ღირსეულად შესახვედრად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების მიზნით დეპოს კომკავშირელებმა მოწოდებით მიმართეს რაიონის საწარმოთა კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას.

ახალგაზრდული ბრიგადები

ახმეტა. (სპეც. კორ.). ლენინურ-სტალინური კომკავშირის სახელოვანი იუბილესათვის მზადების დღეებს ახალი წარმატებებით აღნიშნავენ ახმეტის რაიონის კომკავშირელები. ფართოდ გაჩაღდა მუშაობა კომკავშირელებში და კომკავშირგარეშე ახალგაზრდობაში. კომკავშირის ისტორიის გაცნობა-შესწავლისათვის შედგენილია ლექციებისა და საუბრების გეგმა, რომლის მიხედვით კომკავშირული ორგანიზაციები ისმენენ ლექციებს: „კომკავშირის წარმოშობა“, „კომკავშირი შრომისა და ბრძოლის ფრონტზე“, „ლენინი და სტალინი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის შესახებ“ და სხვ.

სახელოვანი იუბილესათვის ღირსეულად შესახვედრად ახმეტის ხე-ტყის სახერხი ქარხნის კომკავშირულმა ორგანიზაციამ შექმნა ორი ახალგაზრდული ბრიგადა. ეს ბრიგადები სასახელოდ შრომობენ. პირველმა ბრიგადამ (ხელმძღვანელი შ. აჭარაძე) 8 თვის საწარმოო გეგმა 150 პროცენტით შეასრულა, მეორე ბრიგადამ (ხელმძღვანელი ა. სპარსიაშვილი) — 135 პროცენტით. ახლა ისინი უფრო მონდომებით მუშაობენ, რათა ახალი წარმატებით შეხვდნენ კომკავშირის 30-ე წლისთავს.

სატყეო მრეწველობის საწარმოოს კომკავშირელებმა ი. ბოდაველმა, თ. გოშელაურმა, ი. გიანაშვილმა იკისრეს მერქნის გამოზიდვის წლიური გეგმა 29 ოქტომბრისათვის შეასრულონ.

წარმატებით მუშაობს სოფელ ხორხელის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირელი მერგოლური ბ. ბაჩიაშვილი ჰექტარზე 80 ცენტნერი სიმინდის მოსაყვანად.

სსრ კავშირი—მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საგუშაგოზე

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გენერალური ასამბლეის 1948 წლის 25 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში უკვე ტრადიციად გადაიქცა თვითეული სესია გაიხსნას საერთო დისკუსიით, რათა გონების თვალი გადავავლოთ განვლილ გზას, შევაჯამოთ გასული წლის შედეგები, ანალიზი გავუკეთოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას და, როგორც სავსებით ბუნებრივია, ცალკე სახელმწიფოების და განსაკუთრებით იმ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკას, რომლებიც ჩვენს ორგანიზაციაში წამყვან როლს ასრულებენ.

ჩვენ ვაპირებთ ესვე გავაკეთოთ ამ სესიაზეც, რა თქმა უნდა, მეტად მოკლე ფორმით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობის იმ პერიოდის შესახებ, რომელიც გენერალური ასამბლეის 1947 წლის სექტემბერ-ნოემბრის მეორე სესიას გვაშორებს.

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების დარღვევა

წარსულ სესიაზე ჩვენ აღვნიშნავდით იმ ძირითად ნაკლს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობაში, რომელიც ეხება გენერალური ასამბლეის მთელი რიგი უაღრესად მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შეუსრულებლობას. მაგალითად, შესრულებული არ არის რეკომენდაციები შეიარაღების საყოველთაო შემცირების შესახებ, მხოლოდ სამშვიდობო მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების შესახებ და ატომური იარაღის ასაკრძალავად ღონისძიებათა შემუშავების დაჩქარების შესახებ. რეკომენდაციები შესრულებული არ არის მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან საკითხებშიც. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ისეთი სრულიად არანორმალური მდგომარეობა, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გავლენიანი წევრები თავის გავლენას იყენებენ არა გენერალური ასამბლეის რეკომენდაციებისა და მათთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად, არამედ პირიქით, იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც ძირიანად ეწინააღმდეგებიან ამ რეკომენდაციებს. ასე იყო, მაგალითად, პალესტინის საკითხში, ინდონეზიის საკითხში, სამხრეთ აფრიკის კავშირში ეროვნული დისკრიმინაციის საკითხსა და მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან საკითხებში.

საჭირო არ არის განსაკუთრებით გაესვას ხაზი იმ გარემოებას, თუ რა ზიანს აყენებენ გენერალური ასამბლეის და საერთოდ გაერთიანებული ერების მთელი ორგანიზაციის ავტორიტეტს ორგანიზაციის წესდების დარღვევანი და, განსაკუთრებით ისეთ უკანონო გადაწყვეტილებათა მიღება, როგორიცაა გადაწყვეტილება სასესიათაშორისო კომიტეტის შექმნის, კორეის საკითხთა კომისიის, ეგრეთწოდებული ბალკანეთის კომისიის შექმნის შესახებ.

ყველას ახსოვს ის გარემოებანი, რომლებშიც, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადებით, შარშან შეიქმნა სასესიათაშორისო კომიტეტი. უკვე მაშინ არავითარი ეჭვი არ იყო, რომ ამ კომიტეტის დაარსების ინიციატორები მიზნად ისახავდნენ შეექმნათ ორგანო, რომელიც კონკურენციას გაუწევდა უშიშროების საბჭოს, რათა ძირი გამოეთხარათ მისი, როგორც მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის მთავარი პასუხისმგებელი ორგანოს, როლისა და მნიშვნელობისათვის. უკვე მაშინ ცხადი იყო, რომ ეს სასესიათაშორისო კომიტეტი ამერიკის დელეგაციას მოფიქრებული ჰქონდა როგორც უფრო ფართო ფუნქციების მქონე ორგანო, ვიდრე უშიშროების საბჭოა. სასესიათაშორისო კომიტეტის შექმნა იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობის მთელი საქმისათვის ძირის გამოთხრისაკენ გადადგმული ახალი ნაბიჯი.

რამდენადაც ამერიკის წინადადება მიზნად ისახავდა უშიშროების საბჭოსათვის გვერდის ავლით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით სასესიათაშორისო კომიტეტში გადაეტანა მშვიდობისა და უშიშროების უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაჭრა არა ხუთი დიდი სახელმწიფოს ერთსულოვნების პრინციპის საფუძველზე, არამედ სხვა საფუძველზე, უეჭველია, რომ ამ წინადადების მიღებით ძირი ეთხრება საერთაშორისო თანამშრომლობას, რომელიც ემყარება ყველა იმ, როგორც დიდი, ისე პატარა სახელმწიფოების ურთიერთგაგებას, ნდობასა და ინტერესებისადმი პატივისცემას, რომლებიც მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებას ესწრაფვიან.

მაგრამ სასესიათაშორისო კომიტეტმა ვერ გაამართლა იმედი, რასაც ამ კომიტეტზე მისი ორგანიზატორები ამყარებდნენ. შემთხვევითი როდია, რომ სასესიათაშორისო კომიტეტის შექმნის ინიციატორები ამჟამად ვერ ბედავენ დასვან საკითხი იმის შესახებ, რომ ეს კომიტეტი დროებითი დაწესებულების ნაცვლად მუდმივი დაწესებულება გახდეს.

კორეის საკითხთა კომისიის დაარსებას, ამ წინადადების ავტორთა განზრახვით, უნდა დაეფარა კორეის საშინაო საქმეებში ოცხოეთის ჩარევა, გაეადვილებინა კორეაში მთავრობის შექმნა იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც აქ უკვე წინათ ემყარებოდნენ ამერიკის სამხედრო ხელისუფალნი და რომლებსაც იმედი ჰქონდათ მომავალშიც დაყრდნობოდნენ ისე, რომ ანგარიში არ გაეწიათ კორეელი ხალხის ინტერესებისათვის.

ცნობილია თვითნებობისა და ძალადობის მრავალი ფაქტი, აგრეთვე ტერორის გამოყენება, რასაც სამხრეთ კორეაში განიცდიდნენ და ამჟამადაც განიცდიან მოწინავე ადამიანები და, პირველ რიგში, დემოკრატიული მოძრაობის მოღვაწენი, რომელთაც არა სურთ შეურიგდნენ აქ თავისი ხალხის უუფლებო მდგომარეობას. ამის შედეგად უკანონობათა და კორეის გათიშვის ფასად ამერიკის ხელისუფლებმა სამხრეთ კორეაში შექმნეს მარიონეტული მთავრობა, რომელსაც ისინი რეკლამას უკეთებენ როგორც, თითქოს კორეის საერთო მთავრობას. მაგრამ ასეთი ფალსიფიკაცია შეცდომაში ვერავის ვერ შეიყვანს. ეს ფალსიფიკაცია განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება ჩრდილოეთ კორეაში არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, სადაც კორეის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ფართოდ გაჩაღებულმა სახალხო მოძრაობამ გამოიწვია როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ კორეის მოსახლეობის მიერ არჩეული კორეის უმაღლესი სახალხო კრებისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შექმნა. ეჭვი არ არის, რომ კორეის მომავალი ეკუთვნის კორეელ ხალხს, რომელიც იცავს თავისი ქვეყნის ერთიანობას, დამოუკიდებლობასა და თავისთავადობას ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ—კორეა გადააქციონ კოლონიად და იგი პლაცდარმად გამოიყენონ აგრესიული მიზნებისათვის.

აგრეთვე წარუმატებელი აღმოჩნდა ღონისძიებანი ბალკანეთის კომისიისა, რომელიც გენერალური ასამბლეის წარსულ სესიაზე უკანონოდ შეიქმნა და რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, გააადვილოს საბერძნეთში სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩახშობა და, მეორე მხრივ, განამტკიცოს ხელოვნური ბრალდებანი, რომლებიც ბერძენმა მონარქისტ-ფაშისტებმა წაუყენეს საბერძნეთის ჩრდილოეთ მეზობლებს. ამგვარ ამოცანათა მქონე კომისიას არ შეეძლო დაფნის გვირგვინები მოეპოვებინა არც თავისთვის და არც მთლიანად გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის. უკვე შარშან გენერალურ ასამბლეასა და პირველ კომიტეტში მოყვანილ იქნა ამ კომისიის არაობიექტური მუშაობის მრავალი დამამტკიცებელი საბუთი, დამტკიცებულ იქნა, რომ ამ კომისიის მასალების საფუძველზე არ შეიძლება გამოტანილ იქნას ყურადღებისა და ნდობის ღირსი რაიმე დასკვნა. ასეთსავე მდგომარეობას ვხედავთ ამჟამადაც, რის შესახებაც ჩვენ კიდევ მოგვიხდება აზრის გამოთქმა ეგრეთწოდებული საბერძნეთის საკითხის განხილვისას.

ეკონომიურ საკითხთა დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განვლილი პერიოდის მანძილზე უმთავრესად მუშაობდა ისეთ საკითხებზე, რომელთაც თუმცა თავისი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ რომლებიც სრულიად არ ეხებიან იმ ხალხებისა და, პირველ რიგში, იმ ქვეყნების ყველაზე მნიშვნელოვან ინტერესებს, რომელთაც ჰიტლერელთა მიერ თავსმოხვეულმა ომმა ყველაზე მეტი გაჭირვება და ტანჯვა მიაყენა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისეთმა ორგანოებმა, როგორიცაა ეკონომიური და სოციალური საბჭო, და ისეთმა კომისიებმა, როგორიცაა ევროპის ეკონომიური კომისია და აზიისა და შორეული აღმოსავლეთისათვის შექმნილი ეკონომიური კომისია, თავი მოარიდეს იმას, რომ შეესრულებინათ მნიშვნელოვანი ამოცანები იმ ღონისძიებათა შესამუშავებლად, რომლებიც მიმართულია ომისაგან დაზარალებული ევროპის ქვეყნების ეკონომიკის აღდგენისათვის, აგრეთვე მათი ეროვნული მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარებისათვის ხელშესაწყობად. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ცნობილია, „მარშალის გეგმა" გვერდს უვლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ ორგანოებს თავის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნიათ ყოველნაირად გააადვილონ ამ გეგმის განხორციელება. შემთხვევითი როდია, რომ გენერალური მდივნის ბ-ნ ტრიუგვე ლის მოხსენებაშიც „მარშალის გეგმა", სრულიად უსაფუძვლოდ, დასახულია, როგორც „ბევრის აღმთქმელი პროგრამა დასავლეთ ევროპაში ეკონომიური და პოლიტიკური სტაბილობის აღსადგენად". ამჟამად კი უფრო, ვიდრე ერთი წლის წინათ, ცხადია, რომ „მარშალის გეგმა" არა თუ ხელს არ უწყობს ევროპაში ეკონომიური და პოლიტიკური სტაბილიზაციის აღდგენას, არამედ უფრო აუარესებს ევროპის იმ ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობას, რომლებიც ამ გეგმას მიემხრნენ, ძირს უთხრის მათს ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

2. უშიშროების საბჭო თავის მოვალეობას არ ასრულებს

1947-48 წლებში უშიშროების საბჭოს წინაშე დასმული იყო მთელი რიგი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც, ერთი მხრივ, დაკავშირებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციებისა და რეკომენდაციების შესრულებასთან, რომელთა შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ გენერალური ასამბლეის 1946 წლის 24 იანვრის დადგენილება ატომის ენერგიის შესახებ და გენერალური ასამბლეის 1946 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია შეიარაღების საყოველთაო მოწესრიგებისა და შემცირების შესახებ, და რომლებიც, მეორე მხრივ, დაკავშირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და დებულებების, აგრეთვე გენერალური ასამბლეის დადგენილებათა იმ დარღვევასთან, რაც განვლილი პერიოდის მანძილზე ზოგიერთმა სახელმწიფომ ჩაიდინა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ შემთხვევაში ეს დარღვევა პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის, უშიშროების საბჭოს უმრავლესობამ არა თუ არ მიიღო სათანადო ღონისძიებანი ამ საფრთხის აღმოსაფხვრელად, არამედ საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა და მხარს უჭერს დამრღვევთ.

სწორედ ასე მოხდა ინდონეზიის საკითხში, როცა უშიშროების საბჭოს უმრავლესობამ არ მიიღო ზომები იმ შეიარაღებული აგრესიის ასალაგმავად, რასაც ჰოლანდიამ ინდონეზიელი ხალხის წინააღმდეგ მიმართა. უშიშროების საბჭოს უმრავლესობის გადაწყვეტილებით საქმე გადაეცა ეგრეთწოდებულ „კეთილი სამსახურის კომიტეტს" ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიისა და ავსტრალიის წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელმაც ჰოლანდიელ კოლონიზატორთა მხარე დაიკავა და ინდონეზიის რესპუბლიკას თავს მოახვია რენვილის კაბალური შეთანხმება, რის შედეგადაც ინდონეზიამ დაჰკარგა მთელი რიგი მდიდარი რაიონები, რომლებიც 1947 წელს ჰოლანდიელებმა დაიპყრეს. ამასთან ერთად, უშიშროების საბჭოს უმრავლესობამ უარჰყო წინადადება საომარი მოქმედების შეწყვეტისა და ჰოლანდიის ჯარების მიერ იმ ტერიტორიების გაწმენდის შესახებ, რომლებიც დაკავებულ იქნა საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ, რაც არსებითად აგრესორის მოქმედების წაქეზება იყო.

უშიშროების საბჭომ თავისი მოვალეობა არ შეასრულა არც პალესტინის საკითხში. გენერალური ასამბლეის გასული წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება პალესტინაში არაბულ და ებრაულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნის შესახებ ჩაშლილი აღმოჩნდა. უშიშროების საბჭოს უმრავლესობის ხაზი პალესტინის საკითხში არსებითად მიმართული იყო არა იმისაკენ, რომ მიეღო ღონისძიებანი პალესტინაში ეროვნულ წინააღმდეგობათა აღმოსაფხვრელად და უზრუნველეყო კეთილმეზობლური ურთიერთობა ებრაელ და არაბ ხალხებს შორის, არამედ ხელს უწყობდა მხოლოდ ამ წინააღმდეგობათა გაღრმავებას და როგორც არაბებს, ისე ებრაელებს აქეზებდა საბრძოლველად და შეიარაღებული შეტაკებისათვის, რომლებმაც კიდეც გამოიწვიეს ომი პალესტინაში.

გენერალური ასამბლეის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების ჩაშლას იწვევდნენ არა მარტო პირდაპირი წინადადებანი ზოგიერთი სახელმწიფოს მხრივ აღნიშნული გადაწყვეტილების გადასასინჯავად, არამედ ისეთი ღონისძიებებიც, როგორიცაა ამერიკის დელეგაციის წინადადება — პალესტინაზე დაწესდეს მეურვეობა, ან წინადადება — შეიქმნას შუამავლის ინსტიტუტი, რამაც დღემდე ვერავითარი დადებითი შედეგი ვერ გამოიღო.

3. საბჭოთა კავშირი მოითხოვს აკრძალულ იქნას ატომური იარაღი, დაწესდეს საერთაშორისო კონტროლი

ატომის კომისიის 30 თვისა და შეიარაღების შემცირების კომისიის მუშაობის თითქმის ამავე ხნის განმავლობაში გენერალური ასამბლეის წინაშე დასახული არც ერთი ამოცანა არა თუ შესრულებული არ არის, არამედ არსებითად დაძრული არ არის ადგილიდან. დაწერილია მთელი დასტა ქაღალდები, შედეგი კი არავითარი არ მოჰყოლია.

ატომის კომისიის მუშაობა უნაყოფო აღმოჩნდა იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უარს ამბობს გადასჭრას ის ამოცანა, რომელიც ძირითადია და რომლის გადაჭრამაც უნდა განსაზღვროს ყველა იმ ღონისძიებათა მიმართულება და ხასიათი, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული შეიარაღებიდან ატომური იარაღის ამოღებისა და ატომის ენერგიის მხოლოდ სამშვიდობო მიზნებით გამოყენების უზრუნველყოფის პრობლემასთან.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ აიკრძალოს ატომური იარაღი და დაწესდეს ზუსტი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი ამ აკრძალვის შესრულებისადმი. ატომური იარაღის აკრძალვის აუცილებლობა გამომდინარეობს ამ სახეობის იარაღის, როგორც აგრესიის ისეთი იარაღის ხასიათიდან, რომელიც განკუთვნილია თავდასხმისათვის, ქალაქების დანგრევისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი მოსპობისათვის.

ატომური იარაღის აკრძალვის წინააღმდეგ შეუძლიათ აზრი გამოსთქვან მხოლოდ იმ წრეებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან თვითონ შეინარჩუნონ ეს აგრესიის იარაღი და გულში ატარებენ სხვა ქვეყნებზე თავდასხმის გეგმებს. სწორედ ეს წრეები თავის უკანასკნელ იმედს ამყარებენ ატომურ ბომბზე, ისინი თავის აგრესიულ გეგმებს ამზადებენ და მათი შესრულების ილუზიები აქვთ ისეთ გარემოებებშიც კი, როცა თავდამსხმელი ქვეყნის მთელი ხალხი ან ხალხის დიდი უმრავლესობა ომის წინააღმდეგია, რეაქციული ზედაფენის მიერ განზრახული სამხედრო აგრესიის წინააღმდეგია.

ეს წრეები გადაჭრით ეწინააღმდეგებიან კონვენციის დადებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ და ნაცვლად კონვენციისა ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ აყენებენ წინადადებას ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ.

მაგრამ ძნელი არ არის იმის გაგება, რომ, თუ არ აიკრძალა სამხედრო მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენება, უაზრო იქნება ლაპარაკი ატომის ენერგიისადმი რაიმე კონტროლზე, ვინაიდან კონტროლის საგანიც არ იქნებოდა. ატომური იარაღის წარმოება და გამოყენება თუ არ აიკრძალა, პრაქტიკული აზრი ეკარგება წინადადებებს ატომური ენერგიის გამოყენებისადმი კონტროლის საერთაშორისო ორგანოს დაარსების შესახებ. ასეთ მდგომარეობაში შემუშავება ყოველგვარი დებულებისა საკონტროლო ორგანოს კომპეტენციის, მოვალეობის შესახებ სრულიად უსარგებლო, უქმი მუშაობა ხდება. თუ ატომური იარაღი არ აიკრძალა, ატომის ენერგიის გამოყენებისადმი კონტროლზე ყოველგვარი ლაპარაკი იქნებოდა მხოლოდ ხალხთა მოტყუების საშუალება, რაც ნავარაუდევია იმისათვის, რომ შეასრულოს კვამლის საფარის როლი, რომლის იქითაც ხალხისათვის დაფარულია შეჯიბრება ატომური იარაღის დამზადებაში. **(ტაში).**

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც დაჟინებით მოითხოვს, რომ ჯერ დაწესდეს კონტროლის საერთაშორისო ორგანო, ხოლო შემდეგ შევთანხმდეთ ატომური იარაღის აკრძალვაზე, — ურემს ცხენის წინ აყენებს. ცხადია, რომ იგი დაინტერესებული არ არის ატომის კომისიის მუშაობის წინსვლით, რომელსაც უკვე ორნახევარი წლის წინათ დაევალა შეემუშავა წინადადებანი ეროვნული შეიარაღებიდან ატომური იარაღისა და ყველა იმ ძირითადი სახეობის იარაღის ამოღების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია მასობრივი მოსპობისათვის.

მოთხოვნა — ჯერ დადებულ იქნას კონვენცია საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ, ხოლო შემდეგ კონვენცია ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, მიზნად ისახავს ჩაშალოს დადება კონვენციისა სამხედრო მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

ამ საკითხში ამერიკის წარმომადგენელთა ასეთი პოზიცია სხვა არა არის რა, თუ არა განზრახვა კონტროლზე ლაპარაკით დაფარონ, რომ საქმით არა სურთ საერთოდ რაიმე კონტროლი იქონიონ. გარდა ამისა, ამერიკის გეგმაში სერიოზული ყურადღების ღირსია წინადადება, რათა ის საწარმოები, რომლებიც ატომის ენერგიის წარმოებაზე მუშაობენ, საკუთრებად გადაეცეს საერთაშორისო კონტროლის ორგანოს და, ამრიგად, ეს საერთაშორისო ორგანო გახდეს შესაბამის საწარმოთა პატრონი ყოველ ქვეყანაში, რომელიც უმრავლესობის გადაწყვეტილებით განუსაზღვრელად და უკონტროლოდ ჩაერევა ამა თუ იმ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში.

თუ ანგარიშს გავუწევთ იმ გარემოებას, რომ ამერიკის გეგმა ითვალისწინებს საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს განკარგულებაში გადაცემულ იქნას არა მარტო საწარმოები, არამედ მრეწველობის მთელი დარგებიც, რომლებიც ასე თუ ისე მომსახურებას უწევენ იმ ქარხნებსა და დანადგარებს, რომლებიც ატომური მასალების წარმოებაზე მუშაობენ, მაშინ ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რას გამოიწვევს ამერიკის გეგმის მიღება.

საბჭოთა კავშირი იმ თვალსაზრისზე დგას, რომ საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს, რა თქმა უნდა, უფლება უნდა ჰქონდეს სათანადო შემთხვევებში გადაწყვეტილება ხმის უმრავლესობით მიიღოს. მაგრამ არ შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ კონტროლის ეს საერთაშორისო ორგანო საქმით გადაიქცეს ამერიკის ორგანოდ და რომ ასეთ ორგანოს მიეცეს უფლება ჩაერიოს ამა თუ იმ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. თუნდაც საკონტროლო ორგანოს უმრავლესობის გადაწყვეტილებით. საბჭოთა კავშირს არ შეუძლია დაუშვას ასეთი მდგომარეობა. საბჭოთა კავშირმა იცის, რომ საკონტროლო ორგანოებში იქნება უმრავლესობა, რომელსაც შეუძლია მიიღოს ცალმხრივი გადაწყვეტილებანი, უმრავლესობა, რომლის კეთილსასურველი დამოკიდებულების იმედი თავისადმი საბჭოთა ხალხს არ შეუძლია იქონიოს. ამიტომ საბჭოთა კავშირს და ალბათ, არა მარტო საბჭოთა კავშირს არ შეუძლია დაუშვას, რომ მისი სახალხო მეურნეობის ბედი ამ ორგანოს ხელში ჩავარდეს.

გარდა ამისა, ამერიკის წინადადება კონტროლის შესახებ არ იძლევა თვით ატომური წარმოებისადმი კონტროლის შესაძლებლობას. უშიშროების საბჭოს ატომის ენერგიის კომისიის მეორე (1947 წლის 11 სექტემბრის) მოხსენებაში, რომელიც აყალიბებს ამერიკის პოზიციას ამ საკითხში, ნათქვამია: „ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი ატომის ენერგიისადმი დამანგრეველი მიზნებით მისი გამოყენების თავიდან ასაცილებლად დაწყებულ უნდა იქნას აღნიშნული ორი ძირითადი ნივთიერების (ურანისა და თორიუმის) ზუსტი კონტროლით" და რომ „კონტროლის ყოველი სისტემის დასაწყისი სტადია უნდა განხორციელდეს იმ ნედლეულის მიმართ, რომელიც ამ ორი ძირითადი ნივთიერების წყაროს წარმოადგენს". მაგრამ ამ მოხსენებაში ამაოდ დაუწყებდით ძებნას რაიმე მითითებას იმაზე, რომ ამავე დროს საჭიროა დაწესდეს კონტროლი ატომის ენერგიის სამრეწველო წარმოებისადმი.

ამრიგად, უეჭველია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას სურს ეგრეთწოდებული საერთაშორისო ორგანოს დახმარებით, სადაც მას იმედი აქვს თავისი უმრავლესობისა, ხელში ჩაიგდოს ნედლეულის წყაროები სხვა ქვეყნებშიც და უარს ამბობს თავისი ატომური საწარმოები დაუქვემდებაროს საერთაშორისო კონტროლს ყველა სხვა საწარმოსა და ნედლეულის წყაროსთან ერთად.

ცხადია, რომ საკითხის ასეთი დაყენება მიმართულია იმისაკენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უზრუნველჰყოს ატომური ბომბების შემდგომი უკონტროლო წარმოების შეუზღუდველი შესაძლებლობა.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ სწორად ორგანიზებულმა საერთაშორისო საკონტროლო ორგანომ უნდა განახორციელოს კონტროლი ატომის ენერგიის წარმოებისადმი მის ყველა სტადიაში— ნედლეულის მოპოვებიდან მზა პროდუქციის გამოშვებამდე.

ამ საკითხში შეერთებული შტატებისა და მათი მხარდამჭერი დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთავრობათა პოზიციას საბჭოთა კავშირი, და არა მარტო საბჭოთა კავშირი, ვერ დაეთანხმება. ამას წინათ გაზეთ „მანჩესტერ გარდიანში" გამოქვეყნებული იყო ინგლისელ მეცნიერ მუშაკთა ასოციაციის გენერალური მდივნის—რ. ინესის წერილი, რომელშიც სამართლიანად არის დაყენებული ასეთი საკითხი: „რა ზიანს მოგვაყენებდა, რომ დავთანხმებულიყავით დეკლარაციას, რომ ატომის ენერგიას სამხედრო მიზნებით არ გამოვიყენებთ რომელიმე მომავალ ომში?".

აღნიშნავს რა, რომ ასეთი დეკლარაცია მოცემული იყო კონვენციაში, რომელიც კრძალავს გაზის გამოყენებას ომში, ინგლისელ მეცნიერ მუშაკთა ასოციაციას უკვირს, თუ რატომ არ შეიძლება დავმობილ იქნას ატომური ენერგიის ომში გამოყენება. და ამ საკითხზე რ. ინესის აღნიშნულ წერილში გაცემულია პასუხი. იქ ნათქვამია:

„იმ დროიდან განვლილი ორი წლის მანძილზე, როცა პირველად იყო შემოტანილი საბჭოთა წინადადება კონვენციის შესახებ, ცხადი გახდა, რომ ამ საკითხისადმი დასავლეთ სახელმწიფოთა დამოკიდებულების ნამდვილი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ შეერთებული შტატების მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა შეენარჩუნებინა ატომური იარაღის გამოყენების მუქარა, როგორც მთავარი ფაქტორი რუსეთის წინააღმდეგ ცივ ომში".

ჩვენ კვლავ უნდა მოგაგონოთ, რომ ატომური იარაღი არის თავდასხმის იარაღი, აგრესიის იარაღი. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხმა, მილიონობითა და მილიონობით უბრალო ადამიანმა, რომლებისთვისაც უცხოა აგრესიული მისწრაფებანი და ზრახვანი, ხმა უნდა აღიმაღლონ რათა დაუყოვნებლივ აიკრძალოს ატომური ბომბი რომელიც განკუთვნილია მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი მოსპობისა და მშვიდობიანი ქალაქების დანგრევისათვის. **(ტაში).**

4. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შესახებ

ასეთი მდგომარეობა, უეჭველია, შეიქმნა იმ პოლიტიკურ ხაზთან დაკავშირებით, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელ მუშაობაში ახორციელებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისეთი გავლენიანი წევრები, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, რომელთა საგარეო პოლიტიკაც უკანასკნელ წლებში მკვეთრად შეიცვალა. წინათ შეერთებული შტატები სსრ კავშირთან ერთად იბრძოდნენ აგრესიული ძალების წინააღმდეგ — ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატები სისხლს ღვრიდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ასპარეზებზე და ეს ბრძოლა დაამთავრეს გამარჯვებით და მშვიდობის დამყარებით.

საბჭოთა კავშირი განაგრძობს ფაშიზმის წინააღმდეგ დემოკრატიული პრინციპებისათვის, დემოკრატიული ქვეყნების კეთილდღეობისა და ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებისათვის ბრძოლის თავის წინანდელ პოლიტიკას. ბოლო მოუღო რა გერმანიის ფაშიზმსა და იაპონიის მილიტარიზმს, საბჭოთა კავშირი განაგრძობს მშვიდობის პოლიტიკას და მთელ თავის ძალებს წარმართავს საშინაო ამოცანების და, პირველ რიგში, იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც დაკავშირებულია ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებასთან. საბჭოთა ხალხი მთლიანად ჩაბმულია სამშვიდობო შრომაში, თავის ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარების საქმეში, ურყევად სდგას მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საგუშაგოზე. **(მქუხარე ტაში).**

საბჭოთა კავშირის პოლიტიკა არის საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისა და განმტკიცების უცვლელი და თანმიმდევრული პოლიტიკა. ეს გამომდინარეობს თვით საბჭოთა სახელმწიფოს — მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებიდან, რომელიც უაღრესად დაინტერესებულია ყველაზე ხელსაყრელი პირობები შეუქმნას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში მშვიდობიან შემოქმედებით მუშაობას.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა იცავს თანამშრომლობის კურსს ყველა ქვეყანას შორის, რომლებიც მზად არიან მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის. იგი თანმიმდევრულად ეწევა ბრძოლას ყოველგვარი გეგმისა და ღონისძიების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია ხალხთა შორის გათიშვის შესაქმნელად, თანმიმდევრულ ბრძოლას ეწევა ომის შემდგომი მშვიდობის დემოკრატიული პრინციპების განხორციელებისათვის.

ასეთი როდია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ თავისი საგარეო პოლიტიკა შესცვალა. აგრესიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკიდან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გადავიდა ექსპანსიისა და მსოფლიო ბატონობის გეგმების განხორციელების პოლიტიკაზე. სხვადასხვა ქვეყანაში ყველაზე რეაქციული, ფაშისტურ-მონარქისტული რეჟიმებისა და ჯგუფებისათვის აშკარა მხარდაჭერა და მათთვის სისტემატური დახმარება ფულითა და იარაღით ამ ქვეყნებში დემოკრატიული, სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად; სამხედრო კავშირებისა თუ ბლოკების ორგანიზაცია; ახალი სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების მშენებლობა, აგრეთვე უახლეს სამხედრო-ტექნიკურ მოთხოვნათა შესაბამისად გაფართოება და რეკონსტრუქცია ძველი ბაზებისა, რომლებიც მოწყობილი იყო გერმანიის, იაპონიისა და იტალიის წინააღმდეგ ომის დროს; საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთი ევროპის ახალი დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ახალი ომის თავაშვებული პროპაგანდა; გაცოფებული შეჯიბრება შეიარაღებაში; ნამდვილი კულტი ატომური ბომბისა, როგორც ყველა იმ საფრთხისა და უბედურებისაგან თითქოს ხსნის საშუალებისა, რომლებიც კაპიტალისტურ სამყაროს ემუქრებიან,—აი რა არის დამახასიათებელი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკისა ამჟამად.

ასეთი პოლიტიკა აღვივებს სამხედრო ფსიქოზს, შემფოთებასა და შიშს უნერგავს ხალხის ფართო წრეებს, რომელთაც სწყურიათ მშვიდობა და წყნარი შემოქმედებითი შრომა. ასეთ პოლიტიკას საერთო არა აქვს რა სამშვიდობო პოლიტიკასთან.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებთან ერთად, როგორც ცნობილია, მოაწყო ხუთი სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელიც მიზნად არ ისახავს გერმანიის აგრესიის თავიდან აცილებას და ასეთი აგრესიის წინააღმდეგ ურთიერთ დახმარების გაწევას. მას არც შეუძლია ასეთი მიზანი დაისახოს, რამდენადაც იგი მიმართული არ არის გერმანიის აგრესიის განმეორების საფრთხის წინააღმდეგ, არამედ მხედველობაში აქვს თავის შემადგენლობაში შეიყვანოს გერმანიის დასავლეთი ნაწილი, რომელიც ოდითვე გერმანიის მილიტარიზმის ბურჯი იყო და ჯერ კიდევ ამას წინათ ჰიტლერული აგრესიის დასაყრდენს წარმოადგენდა. სავსებით გასაგებია, რომ ასეთი კავშირების ორგანიზაცია პირდაპირ ეწინააღმდეგება მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების ინტერესებს. ჩვენ ვიცით სხვა კავშირები—ეს არის კავშირები ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს შორის, რომლებიც დადებულია იმისათვის, რომ თავიდან აცილებულ იქნას გერმანიის ახალი აგრესიის შესაძლებლობა. ამგვარი ხელშეკრულებანი დასდო საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებთან და აგრეთვე ფინეთთან. ასეთსავე საფუძველზეა აგებული ისეთი ხელშეკრულებანი, როგორიცაა ინგლის-საბჭოთა კავშირის, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 20-წლიანი ხელშეკრულებანი ურთიერთდახმარების შესახებ. ასეთი ხელშეკრულებანი და მათზე დამყარებული კავშირები, რომლებიც მიზნად ისახავენ გერმანიის ახალი აგრესიის შესაძლებლობის თავიდან აცილებას, მთლიანად შეესაბამებიან ყველა ხალხის ინტერესებს და ვერ გამოიწვევენ ერთი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების დაპირისპირებას სხვა სახელმწიფოებისადმი ან ევროპის გათიშვას. ხოლო ისეთ ხელშეკრულებებს, როგორიცაა ხელშეკრულება დასავლეთი ქვეყნების სამხედრო კავშირის შესახებ, რომელშიც შედიან ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, მხედველობაში აქვთ არა მარტო გერმანია, არამედ ამდენადვე შეუძლიათ მიმართული იყონ იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებიც მოკავშირეები იყვნენ მეორე მსოფლიო ომში. მთელ ინგლისურ, ფრანგულ და ამერიკულ პრესაში აშკარად ლაპარაკობენ, რომ ხუთი დასავლეთი ქვეყნის სამხედრო კავშირი მიმართულია სსრ კავშირისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ასეთი ხელშეკრულება არავითარი გზით არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავს თავდაცვას. ვინც ასეთ ხელშეკრულებებს სდებს და ასეთ კავშირებს აწყობს, ის ეწევა პოლიტიკას, რომელსაც საერთო არა აქვს რა მშვიდობის განმტკიცებასთან, ის ეხმარება ახალი ომის გამჩაღებლებსა და ორგანიზატორებს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

საქდესის ცნობა

საქდესს დავალებული აქვს გამოაქვეყნოს ცნობა ბერლინში არსებული მდგომარეობის საკითხზე და იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ამ საკითხზე სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის ამა წლის აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში სწარმოებდა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ამ საკითხის შესახებ ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის პრესაში გამოქვეყნებული ცნობები და აგრეთვე ოფიციალურ პირთა განცხადებანი, მათ შორის ბ-ნ ბევინის მიერ თემთა პალატაში 22 სექტემბერს წარმოთქმული სიტყვა, სწორ წარმოდგენას არ იძლევიან ბერლინში არსებული მდგომარეობისა და აღნიშნული მოლაპარაკების შესახებ და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ საზოგადოებრივი აზრი.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისათვის გაგზავნილ თავის ამა წლის 14 ივლისის ნოტაში საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ ბერლინში შექმნილი მდგომარეობა წარმოიშვა იმის შედეგად, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა დაარღვიეს პოტსდამის კონფერენციაზე წინათ მიღებული გადაწყვეტილებანი, აგრეთვე ოთხ სახელმწიფოს შორის შეთანხმება გერმანიაში და ბერლინში საკონტროლო მექანიზმის შესახებ. ეს დარღვევა გამოიხატა იმით, რომ სამმა სახელმწიფომ გაატარა ფულის სეპარატული რეფორმა, შემოიღო განსაკუთრებული ფული ბერლინის დასავლეთი სექტორებისათვის და ატარებს გერმანიის დანაწილების პოლიტიკას.

დასავლეთი სახელმწიფოების სეპარატული ღონისძიებებით შექმნილი მდგომარეობა ნიშნავს, რომ სამი მთავრობა არ სჯერდება იმას, რომ სრულუფლებიანად მართავს გერმანიის დასავლეთ ზონებს. არამედ მათ სურთ ამავე დროს ფულისა და ფინანსების მხრივ მართონ ოკუპაციის საბჭოთა ზონაც თავისი განსაკუთრებული ვალუტის შემოღებით ბერლინში, რომელიც საბჭოთა ზონის ცენტრში იმყოფება, და ამრიგად მოშალონ გერმანიის აღმოსავლეთი ზონის მეურნეობა და საბოლოო ანგარიშში — გამოდევნონ იქიდან სსრ კავშირი. ამ გარემოებამ საბჭოთა სარდლობა გერმანიაში აიძულა გაეტარებინა ღონისძიებანი სატრანსპორტო მიმოსვლის შესაზღუდავად ბერლინსა და გერმანიის ოკუპაციის დასავლეთ ზონებს შორის, რათა დაეცვა გერმანელი მოსახლეობის ინტერესები, დეზორგანიზაციისაგან დაეცვა საბჭოთა ზონის ეკონომიკა.

მაგრამ, რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა ივლისის დამლევს წინადადებით მიმართეს სსრ კავშირის მთავრობას ერთად განეხილათ ბერლინში არსებული მდგომარეობა და უფრო ფართო საკითხები, რომლებიც მას ეხება, საბჭოთა მთავრობა დათანხმდა ამ წინადადებაზე.

მოსკოვში აგვისტოს განმავლობაში წარმოებული მოლაპარაკების შედეგად ოთხ მთავრობას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ შემდეგი ღონისძიებანი გატარდება ერთსა და იმავე დროს, იმ პირობით, თუ ოთხ მთავარსარდალს შორის ბერლინში მიღწეულ იქნება შეთანხმება ამ ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელების შესახებ:

ა) მოიხსნება შეზღუდვანი ბერლინსა და დასავლეთ ზონებს შორის ტრანსპორტისა და ვაჭრობის დარგში, აგრეთვე გერმანიის საბჭოთა ზონისაკენ და საბჭოთა ზონიდან ტვირთების მოძრაობის დარგში, რაც უკანასკნელ დროს იყო შემოღებული;

ბ) ამავე დროს საბჭოთა ზონის გერმანული მარკა შემოღებულ იქნება როგორც ერთადერთი ვალუტა ბერლინისათვის და დასავლეთის მარკა „B" ამოღებულ იქნება ხმარებიდან ბერლინში.

ამასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ საბჭოთა ზონის გერმანული მარკის, როგორც ბერლინისათვის ერთადერთი ვალუტის, შემოღებას და ფულის მიმოქცევის შემდგომ მოგვარებისათვის საჭირო მთელ რიგ ფუნქციებს გაეწევა ოთხმხრივი კონტროლი.

ამის შესაბამისად ოთხ მთავარსარდალს ბერლინში მითითება მიეცა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი მოსკოვში მიღწეული შეთანხმების განსახორციელებლად, აგრეთვე გათვალისწინებულ იქნა გერმანიის მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ მოლაპარაკების განგრძობა მოსკოვში.

ოთხ მთავარსარდალს შორის ბერლინში სექტემბრის დამდეგს შემდგარი მოლაპარაკება არ დამთავრებულა იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა მთავარსარდლებს შორის წამოჭრილი ზოგიერთი უთანხმოება გადაიტანეს სსრ კავშირის მთავრობასთან ერთობლივ განსახილველად მოსკოვში.

ზემოხსენებული უთანხმოებანი ეხება სამ საკითხს, ამასთან საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ საკითხებში შემდეგია:

1. საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოითხოვს, რომ დაწესდეს საბჭოთა სარდლობის კონტროლი ბერლინსა და დასავლეთ ზონებს შორის საჰაერო ტრანსპორტით კომერციული ტვირთების გადატანისა და მგზავრების გადაყვანისადმი, ისევე როგორც რკინიგზის, წყლისა და გზატკეცილის ტრანსპორტისადმი. საჰერო გზები არ შეიძლება უკონტროლოდ დარჩეს, რამდენადაც ოთხ მთავრობას შორის მიღწეულ იქნა თანხმობა, რომ შეთანხმებამ უნდა გაითვალისწინოს სათანადო კონტროლის დაწესება ფულის მიმოქცევისადმი ბერლინში და დასავლეთ ზონებთან ბერლინის ვაჭრობისადმი.

2. საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ზუსტად იქნას დაცული ოთხ მთავრობას შორის მოსკოვში მიღწეული შეთანხმება ოთხმხრივი საფინანსო კომისიისა და მისი იმ ფუნქციების შესახებ, რომლებიც ეხება ბერლინში ერთიანი ვალუტის შემოღებასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული საფინანსო ღონისძიებების განხორციელებას. საბჭოთა მთავრობა ვერ დაეთანხმება საფინანსო კომისიის ფუნქციების ისეთ გაფართოებას, რომელიც გამოიწვევდა მის ჩარევას ფულის მიმოქცევის მოწესრიგებაში მთლიანად საბჭოთა ზონაში.

3. საბჭოთა მთავრობა დაეთანხმა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების სურვილს, რომ, დაწესდეს ოთხმხრივი კონტროლი დასავლეთ ზონებთან და მესამე ქვეყნებთან ბერლინის ვაჭრობისადმი, მათ შორის სათანადო ლიცენზიების გაცემისადმი, რითაც იხსნება ამ საკითხში არსებული უთანხმოება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, თუ რაში მდგომარეობს საბჭოთა მთავრობის ნამდვილი პოზიცია იმ საკითხში, რომ ბერლინში არსებული მდგომარეობა მოწესრიგდეს ურთიერთმისაღებ საფუძველზე.

ასეთ ვითარებაში ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებზეა დამოკიდებული, ჩაიშლება მოლაპარაკება აღნიშნულ საკითხზე თუ მიღწეული იქნება დამაკმაყოფილებელი შეთანხმება სსრ კავშირსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის.

საქდესი უარჰყოფს

გუშინ ინგლისის რეიტერის სააგენტომ გადასცა, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ამანიდან მიღებული ცნობებით, ავიაგამანადგურებელი, რომელმაც 23 სექტემბერს არაბთა სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოაგდო, იყო „იაკ"-ის ტიპის თვითმფრინავი, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებენ საბჭოთა ავიაციაში, და რომ ეს ავიაგამანადგურებელი ხელთ ჰქონდათ ებრაელებს.

საქდესს დავალებული აქვს უარჰყოს ეს ცნობა, როგორც სრულიად ყალბი, რომელსაც ბოროტი ანტისაბჭოთა მიზნებით ავრცელებენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის სიტყვამ დელეგატების მთელი ყურადღება მიიპყრო

პარიზი, 25 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს გენერალურ ასამბლეაში მთავარი მოვლენა იყო საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა.

სესიის მონაწილენი უდიდესი ინტერესით მოელოდნენ ამ გამოსვლას. დემოკრატიული მშვიდობისათვის მებრძოლნი რწმენას გამოსთქვამდნენ, რომ საბჭოთა დელეგაცია, ისევე როგორც წარსულ სესიებზე, ღრმა ანალიზს გაუკეთებდა საერთაშორისო ვითარებას და შეიტანდა კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საქმეს. ამერიკული ბლოკის წარმომადგენლებს ეშინოდათ და ამის საფუძველიც ჰქონდათ, რომ საბჭოთა დელეგაცია ძნელ მდგომარეობაში ჩააყენებდა მათ, გამოააშკარავებდა მათს მანევრებს, რომელთა მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მორჩილ იარაღად გადააქციონ.

გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომის გახსნას პრესისა და საზოგადოების დიდძალი წარმომადგენლები დაესწრნენ, დაკავებული იყო ყველა ადგილი და დარბაზში არ ყოფნიდათ თანსატარებელი რადიომიმღებები, რომელთა შემწეობითაც დამსწრენი ისმენდნენ ერთსა და იმავე დროს ხუთ ენაზე თარგმნილ სიტყვას. როცა ვიშინსკიმ აიღო სიტყვა, კორესპონდენტებს გადასცეს ინგლისურ და ფრანგულ ენაზე მისი სიტყვის თარგმანის რამდენიმე ასეული ეგზემპლარი, მაგრამ არც ეს ეგზემპლარები კმაროდა.

ტრიბუნაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის გამოჩენას ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. მისი მკაფიო, ჩინებულად დასაბუთებული სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს.

ვიშინსკიმ თავისი სიტყვა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობის ვრცელი მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი შეუსრულებელი დარჩა და დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ორგანიზაციის სერიოზული წარუმატებლობანი და მარცხი განპირობებულია იმით, რომ ამ ორგანიზაციის წესდებას სისტემატურად არღვევდა მისი უმრავლესობა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ასეთი მდგომარეობა, უეჭველია, შეიქმნა იმ პოლიტიკურ ხაზთან დაკავშირებით, რომელსაც გაერთიანებული ერების მთელი ორგანიზაციის მუშაობაში ახორციელებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისეთი გავლენიანი წევრები, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის საგარეო პოლიტიკაც ამ უკანასკნელ წლებში მკვეთრად შეიცვალა... აგრესიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკიდან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გადავიდა ექსპანსიისა და მსოფლიო ბატონობის გეგმების განხორციელების პოლიტიკაზე".

ვიშინსკიმ მოიყვანა ვრცელი ფაქტიური მასალები, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეს პოლიტიკა აღვივებს ომის ფსიქოზს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. ვიშინსკიმ მრავალი მაგალითით ცხადჰყო, რომ შეერთებულ შტატებში ახალი ომის პროპაგანდა უფრო და უფრო აღვირახსნილი ხდება, ამასთან ამ პროპაგანდას თან ახლავს შეიარაღების უსწრაფესი გაძლიერება და სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე თავდასხმის გეგმების შემუშავება. მან ჩამოსთვალა ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწენი, რომელნიც აშკარად ქადაგებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის იდეას.

ვიშინსკის არა ერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა ტაშით. ბევრი დელეგატი და საზოგადოება განსაკუთრებით მხურვალედ შეხვდა საბჭოთა დელეგაციის მეთაურის განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირი განაგრძობს მშვიდობის პოლიტიკას, მთელ თავის ძალებს ახმარს შინაური ამოცანების და პირველ რიგში, ომით მოშლილი სახალხო მეურნეობის აღდგენასთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრას, და რომ საბჭოთა ხალხი, რომელიც მთლიანად ჩაბმულია მშვიდობიან შრომაში, თავის ქვეყანაში სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და შემდგომ განვითარების საქმეში, ურყევად დგას მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების სადარაჯოზე.

დამსწრეებზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა დელეგაციის კონკრეტულმა წინადადებებმა, რომლებიც ა. ი. ვიშინსკიმ გამოაქვეყნა. აი მის მიერ წარმოდგენილი ტექსტი გენერალური ასამბლეის დადგენილების პროექტისა: „აღნიშნავს რა, რომ დღემდე პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა ატომის ენერგიის შესახებ ასამბლეის 1946 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების, აგრეთვე „შეიარაღების საყოველთაო რეგულირებისა და შემცირების განმსაზღვრელ პრინციპთა შესახებ" 1946 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების განსახორციელებლად;

აღიარებს რა პირველი რიგის ამოცანად სამხედრო მიზნით ატომის ენერგიის წარმოებისა და გამოყენების აკრძალვას;

აღიარებს რა, რომ შეიარაღების საყოველთაო არსებითი შემცირება შეეფერება მტკიცე მშვიდობის დამყარებისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ამოცანებს და შეესაბამება ხალხთა ინტერესებს იმ მძიმე ეკონომიური ტვირთის შესამსუბუქებლად, რომელიც ამ ხალხებს ეკისრებათ სხვადასხვა ქვეყნებში შეიარაღების უზომოდ დიდი და უფრო და უფრო მზარდი ხარჯების შედეგად;

ითვალისწინებს რა, რომ დიდ სახელმწიფოებს — უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების დიდი მასა მოეპოვებათ და მთავარი პასუხისმგებელი არიან მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების დაცვისათვის;

მშვიდობის საქმის განსამტკიცებლად და ახალი ომის საფრთხის აღმოსაფხვრელად, რასაც ექსპანსიონისტები და სხვა რეაქციული ელემენტები აღვივებენ,

გენერალური ასამბლეა ურჩევს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, საფრანგეთსა და ჩინეთს — შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საქმეში პირველი ნაბიჯის სახით შეამცირონ ერთი წლის განმავლობაში ამჟამად არსებული მთელი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები ერთი მესამედით.

გენერალური ასამბლეა რჩევას იძლევა აიკრძალოს ატომური იარაღი, როგორც ისეთი იარაღი, რომელიც განკუთვნილია აგრესიული მიზნებისათვის და არა თავდაცვის მიზნებისათვის.

გენერალური ასამბლეა რჩევას იძლევა, რათა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების და ატომური იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა განხორციელების თვალყურის სადევნებლად და საკონტროლოდ უშიშროების საბჭოს ფარგლებში დაარსდეს საერთაშორისო საკონტროლო ორგანო".

თავისი სიტყვის დასასრულს ვიშინსკიმ რწმენა გამოსთქვა, რომ ზემოთ მოყვანილ წინადადებათა მიღებით გენერალური ასამბლეა ნამდვილ და სერიოზულ წვლილს შეიტანს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საქმეში ამ განცხადებამ ხანგრძლივი ტაში გამოიწვია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკული ბლოკის წარმომადგენლები შეეცადნენ შეენელებინათ საბჭოთა დელეგაციის წინადადებით გამოწვეული შთაბეჭდილება და დაუფარავად შეუდგნენ მათზე დამოკიდებული პრესის „დამუშავებას", მოიწვიეს მათთან ყველაზე ახლო მდგომი ჟურნალისტების სახელდახელო თათბირები. კერძოდ, ასეთი თათბირი ასამბლეის კულუარებში მოაწყო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წარმომადგენელმა.

დღევანდელ სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვეს აგრეთვე ინდოეთისა და ირანის წარმომადგენლებმა.

ინდოეთის დელეგატმა ვიჯაია ლაქშმი პანდიტმა თავისი სიტყვა დაიწყო იმის აღნიშვნით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამი წლის არსებობის შემდეგ გაერთიანებული ერების წინაშე კვლავ დგას მრავალი გადაუჭრელი პრობლემა. მან ეს იმით ახსნა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო (ეს სახელმწიფოები არ დაუსახელებია) სისტემატურად უგულებელჰყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს.

შეეხო რა სესიის წინაშე მდგომ საკითხთა მიმოხილვას პანდიტმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ ატომის ენერგიის კომისიის მუშაობა წარმატებით არ დაგვირგვინდა, და იმედი გამოსთქვა, რომ ამ სესიაზე გამართული კამათი ხელს შეუწყობს ამ საკითხზე არსებულ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრების შერიგებას. მან აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ პროგრესს ვერ მიაღწია განიარაღების საკითხის გადაჭრაში და სთქვა: „ცხადია, მსოფლიოს ომის საფრთხისაგან ვერ ვიხსნით, თუ ახლანდელი გაცხოველებული შეიარაღება არ შესწყდა".

შეეხო რა კოლონიებში და არათვითმმართველ ტერიტორიებზე შექმნილ მდგომარეობას, პანდიტმა სურვილი გამოსთქვა, რომ კოლონიური სისტემა ლიკვიდირებულ იქნას რაც შეიძლება მალე, რომ კოლონიებისა და სამეურვეო ტერიტორიების ხალხებმა მიიღონ თვითმმართველობა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, კერძოდ ინდონეზიის, ინდოჩინეთისა და მალაის ხალხები, რომელნიც თავიანთი თავისუფლებისათვის იბრძვიან, კოლონიურ სახელმწიფოთა სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდებიან. მშვიდობის ერთ-ერთ საფრთხედ პანდიტმა ის დაასახელა, რომ მთელ რიგ ქვეყნებში გრძელდება რასობრივი დისკრიმინაცია.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვან ნაწილში პანდიტი ამართლებდა ინდოეთის პოლიტიკას ჰაიდარაბადის სამთავროს მიმართ, რომლის ტერიტორიაზეც ინდოეთმა თავისი ჯარები შეიყვანა. მან განაცხადა, რომ როგორც კი ჰაიდარაბადში აღდგენილი იქნება ნორმალური პირობები, იქ მოხდება დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელიც გადასწყვეტს ამ სამთავროს მომავლის საკითხს.

ირანის დელეგატ ნური ესფენდიარის უფერული სიტყვა შესდგებოდა ლიტონი განცხადებებისაგან იმის შესახებ, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების დაცვა. მისი სიტყვა არ შეიცავდა ამ პრინციპების განხორციელებისადმი მიმართულ რაიმე კონკრეტულ წინადადებას. ესფენდიარიმ საჭიროდ სცნო გაემეორებინა უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა ერთხმიერობის წინააღმდეგ შაბლონური თავდასხმები. ესფენდიარიმ ვერ გაბედა პირდაპირ მოეთხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების რევიზია და სთქვა, მე მხარს ვუჭერ ეგრეთწოდებული „სასესიათაშორისო კომიტეტის" წინადადებებს, რომელთა მიზანია ეს რევიზია, იმ პირობით, რომ მათ მიიღებენ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრებიო.

ალექსანდრე ყაზბეგი

ქართველი ხალხი ღრმა სიყვარულითა და პატივისცემის გრძნობით აღნიშნავს თავისი ერთ-ერთი დიდი მწერლის—ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების ასი წლისთავს. ხალხი დიდებით მოსავს ალექსანდრე ყაზბეგის სახელს, რომელსაც სამუდამოდ აქვს დამკვიდრებული ღირსეული ადგილი შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა ფშაველას უკვდავ სახელთა გვერდით. სწორედ თავისი ამ დიდი წინამორბედებისა და თანამედროვეების სახელოვანი პატრიოტული, დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციები განაგრძო და განავითარა ალექსანდრე ყაზბეგმა. სწორედ ამ გზით მოიპოვა მან ნამდვილი დიდება და უკვდავება ხალხის გულში.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება მთლიანად შთაგონებულია სოციალური სამართლიანობისა და თავისუფლების, სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულისა და ერთგულების იდეებით. იგი გმირობისა და ვაჟკაცობის სულით, მეგობრობისა და სიყვარულის კეთილშობილური გრძნობებით არის გამსჭვალული. მის ბრწყინვალე რომანებსა და მოთხრობებში მკვეთრად არის გამოხატული ქართველი ხალხის ნაციონალური ხასიათის ის საუკეთესო თვისებანი, რომელთა მეოხებითაც ჩვენმა სამშობლომ უამრავ განსაცდელსა და გასაჭირს გაუძლო და თავისი მიწა-წყალი, ენა, კულტურა, ნაციონალური არსებობა ძლევამოსილად მოიტანა ჩვენს დიად სოციალისტურ ეპოქამდე.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში თვითმპყრობელური ტირანია მძვინვარებდა, ალექსანდრე ყაზბეგმა გასაოცარი ძალით ამხილა ფეოდალურ-მონარქიული წყობილების სიმახინჯე და ველურობა, მეფის ბიუროკრატიული აპარატის მოხელეებისა და სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა ვერაგობა, გონებრივი შეზღუდულობა და ზნეობრივი გახრწნილება.

მჩაგვრელებისა და მძარცველების საძულველ ხროვას, ალექსანდრე ყაზბეგმა ღრმა ისტორიული სიმართლით დაუპირისპირა მშრომელი ხალხის დიადი ბუნება. ხალხი არა მარტო თავისი ტიპიური განმასახიერებლების მეშვეობით, არამედ უშუალოდ, მთელი თავისი კოლექტიური არსებით მოქმედებს ყაზბეგის ყველა საუკეთესო ნაწარმოებში. ხალხი უპირველესი და უსაყვარლესი გმირია ყაზბეგის შემოქმედებისა.

ფასდაუდებელია ალექსანდრე ყაზბეგის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე. თავისი შემოქმედებით იგი მძლავრად გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით გასული საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში გაშლილს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

როდესაც ეპოქის შავბნელი ძალების მიერ დევნილი და გატანჯული მწერალი ნაადრევად სულს ლევდა, ჩვენს ქვეყანაში ფრთას ისხამდა მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობა, ახლოვდებოდა დიად პროლეტარულ ბრძოლათა ქარიშხალი, რომელიც მოწოდებული იყო დაემხო მონობისა და ტირანიის ის სამყარო, რაც ასეთი ზიზღით და გულისწყრომით დაგვიხატა ალექსანდრე ყაზბეგმა.

დიდი მწერალი არ მოსწრებია ამ ქარიშხალს. ამიტომაც გასაგებია, რომ ალექსანდრე ყაზბეგის აზროვნება არ ამაღლებულა კლასთა ბრძოლის მარქსისტულ თეორიამდე, მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებამდე, მაგრამ სავსებით უდავოა, რომ მისმა შემოქმედებამ დიდი წვლილი შეიტანა ქართველი მშრომელი ხალხის მებრძოლი რევოლუციური სულისკვეთების გამოწრთობაში. ცარიზმისა და მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების დასამხობად ამხედრებული ჩვენი ხალხი ყაზბეგის ნაწარმოებებში პოულობდა სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლის მაგალითებს.

მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგის მნიშვნელობა და როლი მარტო ამ დიადი ისტორიული ღვაწლით როდი განისაზღვრება. მისი შემოქმედება კლასიკური კულტურის საუკეთესო მიღწევათა იმ საგანძურს ეკუთვნის, რომლის კრიტიკულად ათვისებისა და გამოყენების საფუძველზეც საბჭოთა ხალხი აშენებს თავის ახალ სოციალისტურ კულტურას.

კაცობრიობის ისტორიის ყველაზე გმირული ეპოქისათვის,—ჩვენი სოციალისტური ეპოქისათვის, მსოფლიოს ყველაზე გმირი და რაინდი ხალხისათვის—საბჭოთა ხალხისათვის მშობლიურია და ახლობელი გმირობისა და ვაჟკაცობის სულით შთაგონებული შემოქმედება ალექსანდრე ყაზბეგისა. სამშობლოსადმი თავდადებული ერთგულების საგალობელი, რომელიც ყაზბეგის თხზულებებში გაისმის, ცხოველ გამოძახილს პოულობს საბჭოთა ადამიანების სულიერ სამყაროში.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება ჩვენი ნაციონალური კულტურის ისეთ მონაპოვართა წყებას ეკუთვნის, რომლებიც ქართველ საბჭოთა ხალხს კანონიერი სიამაყის გრძნობით შეაქვს ჩვენი სამშობლოს მოძმე ხალხთა და მთელი პროგრესული კაცობრიობის მიერ შექმნილ საუკეთესო ღირებულებათა საგანძურში.

• • •

ალექსანდრე ყაზბეგი დაიბადა 1848 წლის 8 იანვარს (ძველი სტილით) ხევში, სოფელ ყაზბეგში, რომელსაც წინათ სტეფანწმინდა ერქვა. მწერლის წინაპრები ჩოფიკაშვილები იყვნენ. გვარი ყაზბეგი პირველად ალექსანდრეს პაპას გაბრიელს მიეკუთვნა. გაბრიელს თავისი იშვიათი ვაჟკაცობითა და გონიერებით თავი გამოუჩენია ერეკლე II-ის დროს. მეფემ დაიახლოვა იგი და სტეფანწმინდის მოურავად დანიშნა. როდესაც ერეკლეს გამჭრიახმა სახელმწიფოებრივმა აზრმა მტკიცედ გადასწყვიტა ქართლის ბედი სამუდამოთ დაეკავშირებინა რუსეთთან, გაბრიელი ქართველი ხალხისა და მისი უპირველესი მესვეურების მიერ დიდი ხნით ნაოცნებარ ამ პოლიტიკურ ორიენტაციას მიემხრო და მნიშვნელოვანი როლიც შეასრულა რუსეთის ჯარების საქართველოში შემოსვლის საქმეში. საქართველოში ახლად დამკვიდრებულ რუსეთის თვითმპყრობელურ მთავრობას გაბრიელისათვის გენერლის ჩინი და აზნაურის წოდება უბოძებია და მთელი ხევის გამგებლობაც ჩაუბარებია. ალექსანდრეს მამა—მიხეილი—გაბრიელ ყაზბეგის უფროსი ვაჟი იყო. ამიტომაც გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ მამის ქონება და თანამდებობა მიხეილს გადმოეცა. მიხეილი მამაზე მეტადაც დაწინაურდა, იგი მთელი მთის ოლქის უფროსად დაინიშნა.

მომავალ მწერალს, როგორც ესოდენ დაწინაურებული და მდიდარი ოჯახის ერთად-ერთ ვაჟს, ფუფუნებაში ზრდიდნენ, ანებივრებდნენ. მაგრამ ბავშვს გული ბატონყმური წყობილებითა და მეფის კოლონიზატორული პოლიტიკით უზომოდ გატანჯული მშრომელი ხალხისაკენ მიუწევდა. მწერლის ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფი მოგვითხრობს: „იგი ვერ ეთვისებოდა მდიდრულ ცხოვრებას. ხშირად გაუსხლტებოდა გადია-გამზრდელებს ხელიდან და სოფლის ბიჭებში, უფრო ცხვარში ამოჰყოფდა თავს. განსაკუთრებით მწყემსებთან ყოფნა უყვარდა". აგვარადვე ახასიათებს ალექსანდრეს ბავშვობის წლებს ჩვენი დიდებული პოეტი აკაკი წერეთელი, რომელიც დაახლოებული იყო ყაზბეგის ოჯახთან: „...დაბალი ხალხი იმთავითვე, ბავშვობაშივე უყვარდა, სულ ბიჭებში მიუდიოდა".

პატარა ალექსანდრეზე დიდი ზეგავლენა მოუხდენია მის ერთ-ერთ გამზრდელს, მთიელ ქალს ნინოს. მისი ნაამბობი ზღაპრები და ზეპირ გადმოცემანი ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდნენ ბავშვზე, აღვივებდნენ მის გულში ჩაგრული ხალხისადმი სიყვარულსა და თანაგრძნობას.

დაწყებითი სწავლა ალექსანდრეს ოჯახში მიუღია საგანგებოდ მოწვეული მასწავლებელ გუვერნიორებისაგან. შემდეგ, თერთმეტი წლის ყმაწვილი, თბილისში წამოუყვანიათ და ჯერ კერძო პანსიონში, მერმე გიმნაზიაში შეუყვანიათ, იმ გიმნაზიაში, სადაც მანამდე ესწავლიათ ნიკოლოზ ბარათაშვილს და ილია ჭავჭავაძეს. გიმნაზია ალექსანდრეს არ დაუმთავრებია: 1866 წელს გარდაიცვალა მიხეილ ყაზბეგი და ოჯახის მოვლა-პატრონობის ტვირთი მთლიანად მას დააწვა. ალექსანდრე იძულებული იყო დროებით ხევში დარჩენილიყო და ოჯახის საქმეები მოეგვარებინა.

მაგრამ ამ დროს უკვე მაღალი საზოგადოებრივი იდეალებით შთაგონებულ ახალგაზრდას სრულიადაც ვერ იზიდავდა ხევის მემამულის მდგომარეობა. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი „თერგდალეულთა" სახელოვან გზას გაჰყოლოდა, რუსეთში მიეღო უმაღლესი განათლება, დაკავშირებოდა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციას, ზიარებოდა მის პროგრესულ იდეებს, მისგან ესწავლა ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის თავდადებული ბრძოლა.

ალექსანდრე ყაზბეგს უნდოდა პეტერბურგის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში შესულიყო. მაგრამ ვინაიდან მას საშუალო განათლების ატესტატი არ ჰქონდა, იძულებული გახდა ჯერ მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში მოწყობილიყო თავისუფალ მსმენელად. მას ღრმად სწამდა, რომ რუსეთის მოწინავე კულტურითა და პროგრესული საზოგადოებრივი აზრის მიღწევებით შეიარაღებული, შესძლებდა ღირსეულ შვილად დაბრუნებოდა თავის სამშობლოს.

უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის ყოველგვარ ცდას ყაზბეგისათვის უშედეგოდ ჩაუვლია, სასოფლო-სამეურნეო აკადემია კი არ შეესაბამებოდა მის საბოლოო მიზნებსა და მისწრაფებებს. ამ გარემოებას უარყოფითად უმოქმედნია მის სულიერ განწყობილებაზე, ამასთანავე ავადაც გამხდარა და გადაუწყვეტია სამშობლოში დაბრუნება. 1870 წლის შემოდგომაზე იგი უკვე ხევშია, საკუთარ ოჯახში.

მოსკოვში გატარებულმა წლებმა გადამწყვეტი გავლენა იქონიეს მწერლის გონებრივ ცხოვრებაზე, მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხასიათზე. სტუდენტობის წლებში იგი ღრმა ინტერესით თვალყურს ადევნებდა იმდროინდელი რუსეთის ამოძრავებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ბევრს კითხულობდა, სწერდა ლექსებს, სთარგმნიდა რუსული და ევროპული ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებებს. ამ პერიოდში ყაზბეგმა ქართულად სთარგმნა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა" და გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან".

ალექსანდრე ყაზბეგი მოსკოვში ცხოვრობდა და სწავლობდა სამოციანი წლების მიწურულში, იმ მოწინავე რუსი სტუდენტობის წრეში, რომელიც გატაცებული იყო რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებითა და ხალხოსნური მოძრაობით. ყაზბეგმა, რომელიც ბავშვობიდანვე იყო გამსჭვალული მშრომელი ხალხისადმი სიყვარულით, ცხადია, მძლავრად განიცადა ასეთი იდეური გარემოცვის ზეგავლენა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე მან გაანთავისუფლა მთის სოფლები მისი მამისა და პაპის მიერ გლეხობაზე შეწერილი ბეგარა-გადასახადებისაგან, დასტოვა მამაპაპეული სასახლე, უარი სთქვა დიდგვაროვანი მემამულის მდგომარეობაზე, მეცხვარის კომბალი აიღო ხელში და მწყემსად წავიდა, რათა უფრო ახლოს გაეცნო მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრება, მისი ჭირვარამი და შემდეგ სიმართლით გამოეხატა იგი თავის შემოქმედებაში. ეს იყო იმ დროისათვის უმაგალითოდ გაბედული ნაბიჯი თავადაზნაურულ წრეებში. ყაზბეგის ასეთმა საქციელმა უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. მწყემსები კი პირველად უნდობლად შეხვდნენ ახალგაზრდა მებატონის უცნაურ ნაბიჯს. მათთვის უმაგალითო და ამიტომაც გაუგებარი იყო ეს ნაბიჯი. მაგრამ ვერავითარმა დაბრკოლებამ და წინააღმდეგობამ ვერ გადაახვევია მაღალი და კეთილშობილური იდეალით შთაგონებულ ახალგაზრდას მტკიცედ არჩეული გზისაგან. მან ანგარიში არ გაუწია დიდგვაროვანი ნათესაობის კიცხვასა და ცილისწამებას, ხოლო ხალხს, მწყემსებს მალე საქმით დაუმტკიცა თავისი გულწრფელობა. ყაზბეგმა მეცხვარეთა ნდობა და სიყვარული დაიმსახურა, მას „მთიელთა ფარი" უწოდეს.

შვიდი წელიწადი გაატარა ალექსანდრე ყაზბეგმა მეცხვარეობაში. ეს იყო მრავალი ხიფათითა და განსაცდელით, ღია ცისქვეშ ავდარსა თუ სიცხეში მოუსვენარი ხეტიალით, უძილო ღამეებითა და გაჭირვებით აღსავსე ცხოვრება, რომელიც ღრმა და წრფელი განცდით აღწერა მწერალმა თავის შესანიშნავ ავტობიოგრაფიულ თხზულებაში „ნამწყემსარის მოგონებანი".

1879 წელს ალექსანდრე ყაზბეგი თბილისში გადმოსახლდა და მრავალმხრივს საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეუდგა. 1880 წელს გაზეთმა „დროებამ" გამოაქვეყნა მწერლის ეთნოგრაფიული ნარკვევი „მოხევეები და მათი ცხოვრება". ეს იყო ალექსანდრე ყაზბეგის პირველი გამოსვლა ლიტერატურის სარბიელზე, თუმცა ლექსებსა და პიესებს იგი ბავშვობიდანვე სწერდა. „დროების" რედაქტორმა, იმდროინდელი ქართული პრესის გამოჩენილმა მოღვაწემ სერგეი მესხმა ალ. ყაზბეგი გაზეთის მუდმივ თანამშრომლად მიიწვია. რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა ყაზბეგი რედაქციაში და ამ მუშაობით მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული პერიოდული პრესის განვითარების საქმეში.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ალექსანდრე ყაზბეგს ქართული თეატრის წინაშეც. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართული პროფესიული თეატრის აღორძინება უშუალოდ არის დაკავშირებული მის სახელთან. 1880 წელს გამოჩენილი ქართველი მსახიობი ქალის მაკო საფაროვ-აბაშიძის საბენეფისოდ პირველად წარმოადგინეს ყაზბეგის პიესა: „ერთი უბედურთაგანი". ამას ზედიზედ მოჰყვა მისი დრამები და კომედიები: „არსენა", „კონსტანტინე ბატონიშვილი", „დილა ქორწილის შემდეგ" და სხვ.

მრავალმხრივი იყო ალექსანდრე ყაზბეგის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მაგრამ თავისი დიადი ნიჭი, შემოქმედებითი გენია, დაუცხრომელი სულის ძალა ყველაზე მკვეთრად რომანებსა და მოთხრობებში გამოავლინა.

1881 წელს „დროებაში" აკ. მოჩხუბარიძის ფსევდონიმით დაიბეჭდა ყაზბეგის „ელგუჯა", რომელშიც მწერალმა პირველად ასახა მთის ხალხის ვაჟკაცური ბრძოლა თავისი ღირსებისა და თავისუფლებისათვის და წარმტაც, დრამატიზმით აღსავსე სურათებში გამოხატა თავისი გმირების—მთიელების მდიდარი და კეთილშობილური, სულიერი სამყარო. ამ ბრწყინვალე ნაწარმოებმა დიდი აღტაცება გამოიწვია მკითხველ საზოგადოებაში. სახელგანთქმულ პოეტს, გრიგოლ ორბელიანს „დროების" იმ ნომრების არშიებზე, რომლებშიც „ელგუჯა" და ყაზბეგის შემდეგი თხზულებანი იბეჭდებოდა ასეთი აღფრთოვანებული წარწერები გაუკეთებია: „ძალიან კარგია!", „მშვენიერებაა!", „დიდათ მიამა", „ქართველი ჰომიროს არს, შაბაშ!" „ღმერთმა გაკურთხოს მოჩხუბარიძევ იმ გულის დატკბობისათვის, რომელიც მომეცა ამ მოთხრობის წაკითხვის ჟამსა. ჯერ ქართულ ენაზე მსგავსი არა დაწერილა რა!".

„ელგუჯას" ასეთი წარმატებით გამხნევებულმა მწერალმა ზედიზედ გამოაქვეყნა სხვა თავისი შესანიშნავი ქმნილებანი „ელისო", „ციკო", „მამის მკვლელი", „მოძღვარი", „განკიცხული", „ხევისბერი გოჩა" და სხვები. ყოველი ამ ახალი ნაწარმოების გამოქვეყნება ახალი დიდებით მოსავდა მწერლის სახელს. საქართველოს მოწინავე ადამიანთა გულს სიამაყის გრძნობით აღავსებდნენ ყაზბეგის ნაწარმოებები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიხატებოდა ერის შემოქმედებითი პოტენცია. გამოჩენილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი ასე გამოსთქვამდა ყაზბეგის „განკიცხულის" წაკითხვით მიღებულ შთაბეჭდილებას: „განკიცხული" მშვენიერებაა, რომელიც ყოველ ჩვენგანს, ქართველს გვაძლევს უფლებას თვითკმაყოფილებით ვთქვათ: ჩვენთვის ყოველივე არ მომკვდარა, ჩვენ ისევ ვცოცხლობთ და კვლავ დიდხანს ვიცოცხლებთ! მე აღტაცებული სიხარულით წავიკითხე ეს მშვენიერი ფურცლები. გაუმარჯოს „განკიცხულს", გაუმარჯოს მის დამწერს!"

ექვსი წლის განმავლობაში—1880-1886 წლებში შექმნა ალექსანდრე ყაზბეგმა ყველა ის ნაწარმოები, რაც მის დიად შემოქმედებითს მემკვიდრეობას შეადგენს. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი დაუცხრომელი ენერგიით მუშაობდა იგი ამ წლებში. ამასთანავე მწერალი სისტემატურად ეწეოდა დამქანცველ შრომას რედაქციაში, მოღვაწეობდა ქართულ თეატრში, როგორც დრამატურგი და მსახიობი.

თუ ხალხი აღტაცებით ეგებებოდა ალ. ყაზბეგის ყოველ ახალ ნაწარმოებს, რეაქციის მოციქულები დაუნდობლად სდევნიდნენ და ავიწროებდნენ მწერალს. მეფის ცენზურა ცდილობდა ფრთები შეეკვეცა ყაზბეგის შთაგონებისათვის. 1884 წელს „ელგუჯას" პირველი გამოცემის მთელი ტირაჟი პოლიციამ აკრძალა და ცეცხლს მისცა. ცენზურა უმოწყალოდ ახახიჩრებდა მწერლის ყოველ ნაწარმოებს. ათასგვარი ჭორებითა და ბოროტი ცილისწამებით

(დასასრული მე-4 გვერდზე)

გამოხმაურება ამხ. ა. ი. ვიშინსკის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 25 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის გამო

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ა. ი. ვიშინსკის სიტყვას გენერალური ასამბლეის პარიზის სესიის 25 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე. გუშინდელი საღამოს და დღევანდელი გაზეთები ცნობებს ვიშინსკის სიტყვის შესახებ პირველ გვერდებზე აქვეყნებენ დიდი სათაურებით.

ამერიკის გაზეთებს მოჰყავთ შინაარსი საბჭოთა წინადადებებისა შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის, როგორც აგრესიის იარაღის, აკრძალვის და საერ-...

...თანავე არ შეუძლიათ არ აღიარონ, რომ საბჭოთა წინადადებებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს მთელ მსოფლიოში.

საფრანგეთი

პარიზი, 26 სექტემბერი. (საკდესი). „ფრანს პრესის" სააგენტოს მიმომხილველი იუწყება ა. ი. ვიშინსკის გამოსვლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე და აღნიშნავს, რომ სხდომას დაესწრო „უაღრესად დიდძალი პირები, რომლებიც სპეციალურად ჩამოვიდნენ პარიზში ვიშინსკის სიტყვის მოსასმენად". დამსწრენი, — აღნიშნავს კორესპონდენტი, — ...

ჰოლანდია

ჰააგა, 26 სექტემბერი. (საკდესი). ჰოლანდიის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნეს ა. ი. ვიშინსკის მიერ გენერალური ასამბლეის სესიის გუშინდელ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის ნაწყვეტები.

გაზეთი „ხეტ პაროლი" პირველ გვერდზე ათავსებს დიდ სათაურს „ვიშინსკის წინადადება შეიქმეს განიარაღების შესახებ". გაზეთი მსხვილი შრიფტით ბეჭდავს აბზაცს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვს, რაც შეიძლება მალე შემცირდეს ყველა შეიარაღებული ძალა ერთი მესამედით, აიკრძალოს ატომური იარაღი და საერთაშორისო კონტრო-...

...გაციის მეთაურის სიტყვისადმი ნათლად არის გამოხატული დიდრონი სათაურებით, რომლებსაც დღეს უძღვნება ამ სიტყვასა და მის შინაარს.

„ნოიეს დოიჩლანდმა" სიტყვის პირველი ნაწილი შემდეგი სათაურით გამოაქვეყნა: „საბჭოთა „მშვიდობის რეზოლუცია" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე".

„ბერლინერ ცაიტუნგი" ათავსებს რეზოლუციის ტექსტს და ვიშინსკის მთელი სიტყვის შინაარსს დიდი სათაურით: „ერთი მესამედით შეიარაღების შემცირების მოთხოვნა".

„ნაციონალ-ცაიტუნგი" გამოვიდა სათაურით, ...

[illegible]

იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

რომი, 26 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა" იუწყება, რომ გაიხსნა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. სხდომის დასაწყისში ხელმძღვანელობის წევრი მაურო სკოჩიმარო ცენტრალური კომიტეტისა და მთელი პარტიის სახელით მიესალმა პალმირო ტოლიატის, რომელმაც თავისი ადგილი დაიკავა პრეზიდიუმის მაგიდასთან. სკოჩიმარომ გამოსთქვა პარტიისა და მთელი იტალიელი ხალხის სიხარული ტოლიატის გამოჯანსაღების და სამუშაოდ დაბრუნების გამო.

თავის მოკლე საპასუხო სიტყვაში ტოლიატიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 14 ივლისის თავდასხმა, რაც იმასთან „დაკავშირებითაც მოხდა, რომ მუშათა პარტია არასაკმაოდ მუშაობს სიფხიზლის მხრივ", წარმოადგენს „უწინარეს ყოვლისა იმ უკიდურესი დაძაბულობის გამოხატულებას, რასაც კლასობრივმა ბრძოლამ მიაღწია იტალიაში".

საყოველთაო საპროტესტო გაფიცვამ, — სთქვა ტოლიატიმ, — ცხადჰყო, რომ იტალიელი ხალხის უმრავლესობა ამ პერიოდში დაირაზმა კომპარტიის გარშემო.

[illegible]

შემდეგ ჯან კარლო პაიეტამ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ამხანაგ ა. ა. ჟდანოვის ხსოვნის აღსანიშნავად.

პლენუმზე მოხსენება „ახლანდელ ვითარებაში იტალიის კომპარტიის პოლიტიკური და იდეოლოგიური ორიენტაციის შესახებ" გააკეთა ლუიჯი ლონგომ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ა. ვლასოვს რწმუნების სიგელები გადასცა სიამის დესპანმა ბ-ნმა პრა ბაჰიდა ნუკარამ

25 სექტემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ა. ვლასოვმა მიიღო სიამის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი პრა ბაჰიდა ნუკარა, რომელმაც თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

ბ-ნ პრა ბაჰიდა ნუკარას თან ახლდნენ მისიის მესამე მდივანი ბ-ნი ე. პოლაბიუნი და მისიის ატაშე ბ-ნი ს. შამრუნგპონგი, რომლებიც დესპანმა ი. ა. ვლასოვს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე კ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ი. ა. ვლასოვი ესაუბრა ბ-ნ პრა ბაჰიდა ნუკარას. საუბარში მონაწილეობა მიიღო ვ. ა. ზორინმა.

განცხადება სსრ კავშირის დესპანისა ჰელსინკში

ჰელსინკი, 27 სექტემბერი. (საკდესი). ამ დღეებში სსრ კავშირის დესპანმა ფინეთში სავონენკოვმა ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი ენკელი და გაუკეთა მას წარდგინება, რომელშიც ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მსროლელთა და მონადირეთა საზოგადოებანი დაბალაიხიაში აწყობენ და ატარებენ გასამხედროებულ საქმიანობას, რისთვისაც იყენებენ სამხედრო ტიპის სპეციალურად მოწყობილ სასროლო მოედანს, რომელიც წინათ ეკუთვნოდა ფინეთის ხელისუფალთა მიერ დაშლილ ფაშისტურ ორგანიზაციას.

დესპანმა სავონენკოვმა მიუთითა, რომ აღნიშნულ საზოგადოებათა გასამხედროებული საქმიანობის დაშვება ეწინააღმდეგება ფინეთის რესპუბლიკის მიერ 1947 წლის საზავო ხელშეკრულების მე-8 და მე-14 მუხლების ძალით ნაკისრ ვალდებულებებს და რომ მისია ფინეთის ხელისუფალთაგან მოელის ეფექტიანი და დაუყოვნებლივი ზომების მიღებას აღნიშნულ საზოგადოებათა საქმიანობის შესაწყვეტად და შემდეგში მსგავსი ორგანიზაციების მიერ ანალოგიური საქმიანობის გატარების შესაძლებლობის თავი-...

[illegible]

გერმანიის ამერიკულ ზონაში აკრძალეს საბჭოთა ლიცენზიით გამომავალი გაზეთების გავრცელება

ბერლინი, 25 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკელი სამხედრო გუბერნატორის მოადგილემ გენერალმა ჰეისმა გუშინ განკარგულება გასცა, რომლის თანახმადაც იკრძალება საბჭოთა ლიცენზიით გამომავალი გერმანული გაზეთების, აგრეთვე საბჭოთა გაზეთ „პრავდისა" და ჟურნალ „ნოვოე ვრემიას" გავრცელება ამერიკულ ზონაში.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" კომენტარს უკეთებს გენერალ ჰეისის განკარგულებას და დღეს სწერს, რომ ეს აკრძალვა წარმოადგენს ინფორმაციის გაცვლის შესახებ საკონტროლო საბჭოს მიერ გამოცემული კანონის დარღვევას.

„მაგრამ ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ამის წინააღმდეგ, — სწერს „ნოიეს დოიჩლანდი", — არა მარტო ფორმალური მიზეზების გამო. ჩვენ მოვითხოვთ აკრძალვის გაუქმებას სერიოზულ ...

[illegible]

ამერიკელთა ოჯახების ევაკუაცია ბერლინიდან

ბერლინი, 25 სექტემბერი. (საკდესი). ...ბერგიდან იუწყება, ამერიკელმა სამხედრო გუბერნატორმა გენერალმა კლეიმ განაცხადა, რომ უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე ამერიკელთა ოჯახების წევრთა რიცხვი ბერლინში შემცირდა 2.600-დან 1.100-მდე. სააგენტო აღნიშნავს, რომ ეს შემცირება მიმდინარეობს „შემუშავებული გეგმის თანახმად".

ალექსანდრე ყაზბეგი

[illegible]

ქრონიკა

[illegible]

კინოებში

28 სექტემბერს: „რუსთაველი", „ამირანი" — „ლამურა"; „ოქტომბერი" — „ფლორია ტოსკა"; „სპარტაკი" — „ცირკი"; „თბილისი" — „საყვარელი ქალიშვილი"; „კომკავშირელი" — „ნუ დამივიწყებ" (საზამთრო დარბაზი).

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

ფალიაშვილის სახ. — 28-IX „**აბესალომ და ეთერი**" (1 აბ. 1 წარმ.), 29-IX „**კარმენი**" (2 აბ. 1 წარმ.).

რუსთაველის სახ. — 28-IX „**ხევისბერი გოჩა**" (1 სერ. 1 წარმ.), 29-IX „**ქეთევან დედოფალი**" (2 სერ. 1 წარმ.);

მარჯანიშვილის სახ. — 28-IX „**მოძღვარი**" (2 სერ. 1 წარმ.), 29-IX „**მოძღვარი**" (1 სერ. 1 წარმ.);

გრიბოედოვის სახ. — 28-IX „**პროვინციული ისტორია**" (1 აბ. 1 წარმ.), 29-IX „**უდანაშაულოდ დამნაშავენი**" (2 აბ. 1 წარმ.);

სომხური დრამა — 29-IX „**ღალატი**" (1 აბ. 1 წარმ.);

კაგანოვიჩის სახ. რუსული მოზარდ მაყურებელთა — 28-IX „**თოვლის გუნდა**" (123 აბ., დასაწყ. 7½ ს.), 29-IX „**თოვლის გუნდა**" (90 აბ., 9 ს. დილით; 129 აბ. 6 ს. 30 წ.);

თბილისის ყველა თეატრში დარჩენილი ბილეთების შეძენა შეიძლება თეატრის სალაროებში. დილის სპექტაკლების დასაწყისი 12 საათზე, საღამოს — 8 საათზე. საბილეთო სალაროები ღიაა დილის 11-დან საღამოს 9 საათამდე.

შვილი ვაგან მამასახლისოვი იუწყება **ივანე გიორგის-ძე მამასახლისოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-IX, 7½ ს. გამოსვენება 30-IX, 5 ს. კალინინის, 54.

მ. პირველი, მ. ჭეიშვილი, ა. ხელიძე, ი. ჩაჩიბაია, კ. ხვიჩია, შ. გენებაშვილი, ს. ვაშაკიძე, ვ. ალექსანდრია, ვ. რეინუკი, ვ. ჩახავა, ნ. კარაპეტიანი, შ. დოლონაძე, ს. ჩიხლაძე, ბ. მესხი, ნ. პაპავა, ნ. მირზოევი იუწყებიან **მიხეილ ნოეს-ძე კაჭარავას** გარდაცვალებას.

ტერეზია, ოლია, ნინო, მირა, ვლადიმერ და ერასტი კილასონიები თანაგრძნობას უცხადებენ მარგარიტა მამასახლისოვს მისი ძმის **ივანე გიორგის-ძე მამასახლისოვის** გარდაცვალების გამო.

გოგონა, ვასილ ნიჟარაძეები ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ გ. კიკნაძეს მისი დედის **ნინო თერაპონტის ასულ კიკნაძის** გარდაცვალების გამო.

კ. ვეფხვაძე, ი. კობიაშვილი, გ. მჟავანაძე, ნ. მეგრელიშვილი, ვ. მერაბიშვილი, გ. მესტიაშვილი, ა. რუხაძე, ა. სიჭინავა, ა. სულაკაძე, გ. სვანიძე, ა. ქორქია, თ. შანიძე, მ. შენგელია, ი. ჩოხელი, ნ. ჯულაყიძე იუწყებიან ...

[illegible]